

ნიმუშობენი

მუნიციპალიტეტის
ბანვითარების გეგმა



financed by
Austrian
Development Cooperation

ნიმუშობნის მონიშნული მანქანის მანქანის მანქანა



ნინონმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა შემუშავდა პროექტის გუნდისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მხარდაჭერით:

1. **მიხეილ პაკაცოშვილი** – JOIN პროექტის კოორდინატორი, ქვა საერთაშორისო კავკასიაში
2. **ზვიად დევდარიანი** – აღმასრულებელი დირექტორი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
3. **ნინო ჩიტორელიძე** – JOIN პროექტის ოფიცერი, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
4. **დავით ჯიჯელავა** – ექსპერტი
5. **ხათუნა მადურაშვილი** – გენდერული თანასწორობის ექსპერტი, ქვა საერთაშორისო კავკასიაში
6. **კახა ბახტაძე** – გარემოსდაცვითი ექსპერტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)
7. **ირაკლი ქობალია** – გარემოსდაცვითი ექსპერტი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)

სამუშაო ჯგუფის წევრები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ნინონმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შემუშავებაში:

2. **სამველ დარბიანი** – ფერმერი
3. **გურგენ ღარსლიანი** – ფერმერი
4. **ჰამლეტ ნანიანი** – ფერმერი
5. **არარატ თანანიანი** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
6. **არმენ დარბიანი** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
7. **კონსტანტინე ვარდანიანი** – სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია
8. **ლუსინე მკრტიჩიანი** – მედია
9. **სამველ ირიციანი** – ადგილობრივი თვითმმართველობა
10. **გულნარა ლაბარანი** – ადგილობრივი თვითმმართველობა
11. **წოვინარ მანველიანი** – ადგილობრივი თვითმმართველობა

ნინონმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა გამოცემულია პროექტის „ადგილობრივი მონაწილე მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის სამხრეთ კავკასიაში“ (JOIN) მიერ.

პროექტი დაფინანსებულია ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მიერ ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) მეშვეობით და ხორციელდება CARE ავსტრიის და CARE საერთაშორისო კავკასიის მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში.

შესავალი	4
მეთოდოლოგია	5
პირველი ნაწილი: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პროფილი	6
გეოგრაფიული მდებარეობა	6
კლიმატი	6
ბუნებრივი საფრთხეები	7
ბუნებრივი რესურსები	7
ადამიანური კაპიტალი	9
გენდერი	10
ინფრასტრუქტურა	11
ადგილობრივი ეკონომიკა	12
მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი	13
მეორე ნაწილი: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა, მიზნები და პრიორიტეტები	17
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა	17
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნები	17
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტები	18
მესამე ნაწილი: ნინოწმინდაში წარმოებული ყველის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი	19
ყველის წარმოება ნინოწმინდაში	19
ჯიშები და მათი გაუმჯობესება	20
დაავადებები	21
ვეტერინარია/კონსულტაციები	22
ვეტერინარული აფთიაქები	23
დაავადებების დიაგნოსტიკა	23
პირუტყვის კვება	24
რძის დამზადება	25
ყველის დამზადება	26
ყველის შენახვა	26
რძის და ყველის გაყიდვა	27
ყველის ქარხნები	27
ფინანსური რესურსები	27
მეოთხე ნაწილი: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში გამოვლენილი ღირებულებათა ჯაჭვის (ყველის) საკანონმდებლო ანალიზი	28
ზოგადი საკითხები	28
სურსათის უსაფრთხოება	29
წარმოება	30
გაყიდვები	31
მეხუთე ნაწილი: ინიციატივები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში	32

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა შეიმუშავა ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელმაც გააანალიზა ადგილობრივი ეკონომიკა, გამოავლინა სტრატეგიული სექტორები და განსაზღვრა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის.

ნინოწმინდის ეკონომიკის ანალიზისას ჯგუფმა რამდენიმე კრიტერიუმით გამოავლინა მუნიციპალიტეტში განვითარებული სექტორები და პრიორიტეტული მიმართულებები. მესაქონლეობის და მემცენარეობის სექტორების ანალიზისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ბაზარზე არსებულ მოთხოვნას და სექტორში დასაქმებულების, მათ შორის ქალების, რაოდენობას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა რძის და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვს. მუშაობის პროცესში ჯგუფმა გააანალიზა:

- რძის და რძის პროდუქტების წარმოებაში, მათ შორის, ჯიშების გაუმჯობესების, დაავადებების პრევენციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის, პირუტყვის კვების კუთხით არსებული მდგომარეობა;
- ყველის წარმოების პროცესი და პრობლემები;
- პროდუქციის შენახვის მექანიზმები;
- მწარმოებლების კავშირები საბოლოო ბაზრებთან, მათი სტრუქტურა და გამოწვევები;
- სექტორის დამხმარე სერვისები (ფინანსური რესურსები, მექანიზაცია, ტექნიკური და საბაზრო ინფორმაცია) და მათზე ხელმისაწვდომობა.

ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ჯგუფმა გამოავლინა ის ინიციატივები, რომელთა განხორციელებაც გადაჭრის ღირებულებათა ჯაჭვში გამოვლენილ პრობლემებს და გაზრდის მასში ჩართული დარბი მოსახლეობის შემოსავლებს.

გეგმა შეიმუშავებულია „ადგილობრივი მხარეები ერთიანდებიან ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობისთვის – JOIN“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად – სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) საქართველოში და აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (CARD) სომხეთში. პროექტი დააფინანსა ავსტრიის განვითარების თანამშრომლობამ (ADC).

ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის ერთობლივი დაგეგმვით, გაუმჯობესებული თანამშრომლობითა და ბაზართან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლით JOIN ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე რეგიონებში. საქართველოში პროექტი სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის, ხოლო სომხეთში ლორის, ტავუშის და შირაქის რეგიონებში ხორციელდება.

ნინონმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის შესამუშავებლად შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ სამი სექტორის – ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის წარმომადგენლები. მათ არსებული მდგომარეობა უნდა შეესწავლათ და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო ინიციატივები სხვადასხვა კუთხით შეეფასებინათ.

სამუშაო პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა:

- შეიქმნა ჯგუფი, რისთვისაც პროექტის გუნდი ნინონმინდაში დაინტერესებულ მხარეებს წინასწარ შეხვდა და მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია;
- ჯგუფის შექმნის შემდეგ წევრებს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზისთვის საჭირო უნარების ასა-მადლებლად ტრენინგები ჩაუტარდათ, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტში განვითარებული ეკონომიკური სექტორების შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად მათ გამოკითხეს ადგი-ლობრივი მოსახლეობა. ჯგუფს მუნიციპალიტეტების ზოგადი პროფილებისთვის ინფორმაციის მოგროვებაში ნაწილობრივ კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი და-ეხმარა;
- შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ჯგუფმა გამოავლინა პრიორიტეტულ ღირებულებათა ჯაჭვი, რომლის ანალიზში, მონაწილეობდა JOIN პროექტის გუნდი; შეიქმნა დამატებითი ფოკუს-ჯგუფები, ჩაიწერა ინტერვიუები;
- გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად ჯგუფმა შეიმუშავა რამდენიმე ინიციატივა, რო-მელთა განხორციელებაც დადებითად იმოქმედებს ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებაზე და მასში ღარიბი მოსახლეობის ჩართულობაზე;
- მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა გეგმის საბოლოო ვერსია, რომლის პრეზენტაციაც მუნიციპალიტეტში გაიმართა. პრეზენტაციის მიზანი იყო მოსახლეობის დაინტერესება, რაც ინიციატივების განხორციელებისთვის საჭირო აქტივობებში თემის მონაწილეობას უზრუნველ-ყოფს.

ანალიზის დროს ჯგუფმა გაითვალისწინა გენდერული ასპექტები – ქალების და მამაკაცების როლი ღირებულებათა ჯაჭვში და რა გავლენა შეიძლება მისმა განვითარებამ იქონიოს თითოეულ მათგანზე. ამასთან, ანალიზის დროს ყურადღება გამახვილდა გარემოს დაცვაზე, არსებულ რისკებზე და მათი შემცირების მექანიზმებზე.

პირველი ნაწილი:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პროფილი

გეოგრაფიული მდებარეობა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის ვულკანურ ბეგანზე, ახალქალაქის პლატოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ხანჩალის ტბის აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 1950-2200 მ სიმაღლეზე. სამხრეთ საზღვარი ნიალისყურის ქედს მიჰყვება, რომელიც სომხეთის შირაკის მარზას ესაზღვრება. ჩრდილოეთით – აბულ-სამსარისა და ჯავახეთის ქედების შემაერთებელი სერით წალკის რაიონისაგან არის გამოყოფილი. დასავლეთით – აბულ-სამსარის ქედით – ახალქალაქის რაიონს, ხოლო აღმოსავლეთით კი ჯავახეთის ქედის თხემით დმანისის რაიონს ემიჯნება. ნინოწმინდაში მდებარეობს სასაზღვრო გამშვები პუნქტი სომხეთთან სოფელ ჟდანოვში, რომელიც მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 23 კმ-ით არის დაშორებული.

მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქ. ნინოწმინდა, თბილისიდან წალკის გავლით 161 კმ-ით, ხოლო ახალციხის გავლით 320 კმ-ით არის დაშორებული, ხოლო რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრიდან – ახალციხიდან – 91 კმ-ით.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობია 1353.9 კმ². მოსახლეობა, მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემებით, 2013 წელს 34 300 ადამიანს შეადგენს. მუნიციპალიტეტში 10 ტერიტორიული ერთეული შედის: ქალაქი ნინოწმინდა, ჯიგრაშენი, ხანჩალი, გორელოვკა, სათხე, ეშტია, განძა, ფოკა, ტამბოვკა და კონდური. არსებული ტერიტორიული ერთეულები 31 სოფელს აერთიანებს¹.

კლიმატი

კლიმატურად ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქის, ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულიდან წინა აზიის მთიანეთის მშრალ სუბტროპიკულზე გარდამავალი ჰავის ქვეოლქს ცივი ზამთრითა და ხანმოკლე გრილი ზაფხულით. კლიმატური მახასიათებლები ვარიირებს თვით მუნიციპალიტეტს ფარგლებში მისი ტერტორიის ჰიფსომეტრიული განვითარების მნიშვნელოვანი დიაპაზონის გამო.

საშუალო წლიური ტემპერატურა 2-6°C-ია. ზამთარი ცივი, შედარებით მცირეთოვლიანია. იანვრის, უცივესი თვის საშუალო ტემპერატურა -10.6°C. აბსოლუტური მინიმუმი -39°C. ზაფხული გრილი და ხანმოკლეა. უთბილესი თვის, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 13.2°. აბსოლუტური მაქსიმუმი 30°C. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა 24-25°C. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (+10°C-ზე მაღალი) 1,0640. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2,5⁰ სთ-ს აღწევს.

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 733 მმ-ია. მაქსიმალური ივლისში – 116 მმ, მინიმალური დეკემბერ-იანვარში – 30 მმ. თოვლის საფარი წარმოიქმნება ნოემბერ-დეკემბერში და ნარჩუნდება მარტამდე. თოვლის საბურველის საშუალო ხანგრძლივობა 4-5 თვეა.

ქარის საშუალო სიჩქარე 4-6 მ/წმ-ის ტოლი. ძირითადად გაბატონებულია სამხრეთის მიმართულების ქარები. სეტყვიან დღეთა საშუალო წლიური რაოდენობა 5-6.

¹ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ბუნებრივი საფრთხეები

ბუნებრივი საფრთხეებიდან ნინონმინდის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია წყალდიდობები და წყალმოვარდნები, ღვარცოფული პროცესები, ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა და სეტყვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია სეტყვის განსაკუთრებით მაღალი საფრთხის ქვეშ არის მოქცეული.² სტიქიური პროცესების შედეგად (ძლიერი ქარი, წვიმა და სეტყვა) ზიანდება საცხოვრებელი სახლები და სასოფლო სამეურნეო სავარგულები. მუნიციპალიტეტის მასშტაბით საფრთხის ქვეშ იმყოფება 300 ჰა-მდე სავარგული, დაზიანებულია 50 საცხოვრებელი სახლი. ადგილობრივი გამგეობის ინფორმაციით ბუნებრივი კატასტროფების მიერ (ძლიერი წვიმა და სეტყვა) ბოლო 10 წელიწადში მუნიციპალიტეტისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა სულ დაახლოებით 300,000 ლარს შეადგენს. აქედან ქარის მიერ მიყენებული ზარალი შეადგენს 50,000 ლარს, ხოლო ძლიერი წვიმისა და სეტყვის გამო ზარალმა 250,000 ლარი შეადგინა.³

ბუნებრივი რესურსები

მიწის რესურსი

ნინონმინდის რაიონის ვაკე ნაწილის თიხნარებზე მთის შავმიწები და გამოტუტული შავმიწა ნიადაგები ჭარბობს. მაღლობებისა და ქედების ქვედა კალთებზე შავმიწისებრი და მთის მდელოს ნიადაგებია გაბატონებული. შუა და ზედა კალთებზე კი კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგებია გავრცელებული. საერთოდ, ჭავახეთის ზეგნის ნიადაგური პირობები ძალზე სპეციფიკურია. ნიადაგური საფარი უმთავრესად მთის შავმიწა ნიადაგებით არის აგებული. ამ საფარს ნინონმინდა-ახალქალაქის ვაკე და მთიანი ზოლის ნაწილი, ზღვის დონიდან 2100-2200 მ სიმაღლემდე უჭირავს, ხოლო უფრო მაღლა ტიპური შავმიწა ნიადაგი მთა-მდელოთა შავმიწა ნიადაგებით იცვლება. მთის შავმიწა ნიადაგები ფართოდ ვრცელდება ნინონმინდის მთელ ტერიტორიაზე. ტენიანი მდელოს და ჭაობიანი ნიადაგებია ხანჩალის და ფარავნის ტბების ნაპირებზე. ქედების ციცაბო ფერდობებზე სუსტად განვითარებული ქვიანი ნიადაგებია.

ჭავახეთის მასივის ცენტრალურ ნაწილში, სოფ. ბეჟანოსა და სამსარს შორის ტყით დაფარული ფართობებია, რომლებზეც ტყე-მდელოს ყომრალი ნიადაგები გვხვდება. ზოგადად, ჭავახეთის და ახალქალაქის ვულკანური პლატოების შავმიწა და ტყე-მდელოს ნიადაგებს ფართოდ იყენებენ მარცვლეული კულტურების – უმეტესად, საგაზაფხულო ხორბლის, ქერის და სიმინდის მოსაყვანად. გარდა ამისა, დიდ ფართობებს მოიცავს კარტოფილის ნათესები, ხოლო გამოტუტული შავმიწა ნიადაგების გავრცელების ზონაში წამყვანი ადგილი მეცხოველეობას, კარტოფილს და ზოგიერთ მარცვლეულ კულტურებს უჭირავს.

ნინონმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნიადაგი შემდეგი ტიპებით არის წარმოდგენილი:

- მთა-მდელოს პრიმიტიული ნიადაგები;
- მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგები;
- მთა-მდელოს შავმიწისებრი ნიადაგები;
- შავმიწა ნიადაგები;
- შავმიწა დანიდული ნიადაგები.⁴

2 <http://drm.cenn.org/index.php/en/community-profile>

3 <http://nala.ge/uploads/ninocminda.pdf>

4 მერსი ქორი, ნინონმინდის მუნიციპალიტეტის საბაზისო კვლევა

წყლის რესურსი

ნინოწმინდაში ბევრია მინისქვეშა წყლები, რაც ჯავახეთისთვის დამახასიათებელია. მუნიციპალიტეტი დანაწევრებულია პატარა მდინარეებითა და წყაროებით. ძირითადი მდინარეებია: ფარავანი, ბულდაშენი, აგრიჩაი, კოჩვი, კირხ-ბულახი, განძასხევი.

მთავარი მდინარეა **ფარავანი** (სიგრძე 75 კმ), რომელიც სათავეს ფარავნის ტბიდან იღებს და, სოფელ განძის გავლით, საღამოს ტბაში ჩაედინება. შემდეგ გრძელდება ხერთვისის ციხემდე და მდინარე მტკვარს უერთდება. ფარავანს გზად უერთდება წყაროები: განძასხევი, ბულდაშენი და კირბულეხი. მდინარეები, ძირითადად, სარწყავი დანიშნულებით და თევზჭერისთვის გამოიყენება. ნინოწმინდის რაიონში მდებარეობს ვულკანური წარმოშობის შემდეგი ტბები, რომლებიც ზამთარში იყინებიან: ფარავნის ტბა, რომელიც საქართველოში ყველაზე დიდი და ჭარბწყლიანია ზღვის დონიდან მდებარეობს 2200 მ-ზე. მისი ფართობი 3750 ჰექტარია, სიღრმე – საშუალოდ 12 მ.

მადათაფას ტბა ზღვის დონიდან 2100 მ-ზე მდებარეობს. მისი ფართობი შეადგენს 960 ჰექტარს. საშუალო სიღრმეა 2-3 მ. ტბიდან სათავეს იღებს მდინარე ბულდაშენი, რომელიც ქ. ნინოწმინდის შესასვლელთან მდინარე ფარავანს უერთდება.

ხანჩალის ტბა ზღვის დონიდან 1900 მ-ზე მდებარეობს. მისი ფართობი შეადგენს 630 ჰექტარს. სიღრმე საშუალოდ 2 მ-ია. ტბიდან სათავეს იღებს მდინარე ბულდაშენი, რომელიც ქალაქ ნინოწმინდის შესასვლელთან მდინარე ფარავანს უერთდება.

საღამოს ტბა ზღვის დონიდან 2000 მ-ზე მდებარეობს. მისი ფართობი 510 ჰექტარია. საშუალო სიღრმეა 6-7 მ. სულ ტბებსა და მდინარეებს 7190 ჰა უკავია.

ტყის რესურსი

ნინოწმინდის ფლორა შედგება, ძირითადად, ალპური ზონის მახასიათებლებით. უმეტესი ნაწილი უტყეოა, დაფარულია მთის და მდელო-ველის მცენარეულობით. ტბების ირგვლივ დაჭაობებულ ტაფობებში გავრცელებულია წყლისა და ჭაობის მცენარეულობა. 2200 მეტრზე მაღლა იწყება სუბალპური და ალპური მდელოები. სუბალპური სარტყელი (2050-2400მ) ხასიათდება მაღალბალახეული მცენარეულობით, ბუჩქნარებით და სუბალპური ნაირბალახეულობით. ტყის საერთო ფართობი 2900 ჰექტარია, საიდანაც უდიდესი ნაწილი წიწვოვან ტყეებს უკავია.

შესაძლებელია ტყითსარგებლობა სასოფლო-სამეურნეო მიზნით, რაც გულისხმობს ტყის ფონდის გამოყენებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მისაღებად, სათიბად, საძოვრად, საფუტკრისა და საქონლის დროებითი სადგომების მოსაწყობად, ტყის ფონდში არსებული ბალებითა და ვენახებით სარგებლობას. აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დაშვებულია მხოლოდ იმ ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც არ აზიანებს აღმონაცენ-მოზარდს, არ იწვევს მერქნიანი მცენარეების დაზიანებასა და ეროზიულ მოვლენებს. სასოფლო-სამეურნეო მიზნით გაცემულ ტყის ფონდის ტერიტორიაზე შესაძლებელია მხოლოდ დროებითი ნაგებობის მოწყობა (საქართველოს მთავრობის დადგენილება ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 57). ტყითსარგებლობის წესის მიხედვით, ტყის ფონდის სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით ტარდება აუქციონი (საქართველოს მთავრობის დადგენილება ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ. მუხლი 45).

დაცული ტერიტორიები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ჯავახეთის დაცული ტერიტორიები, რაც ამ ტერიტორიაზე რესურსთსარგებლობის განსაკუთრებულ წესებს აყალიბებს. დაცული ტერიტორიების სისტემის ნაწილის, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა, გარდა ამ მიზნებისათვის სპეციალურად გამოყოფილი ტრადიციული გამოყენების ზონისა. ზონაში დაიშვება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებით და ბუნებრივი პროდუქტულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშუაშე მერქნის მოპოვება და სხვა. დაუშვებელია ხვანა-თესვა და სასოფლო-სამეურნეო ნაგებობების განთავსება (საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ. მუხლი 5).

მინერალური რესურსი


მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება მინერალური რესურსები: კირქვა; ბაზალტი; პერლიტი; თიხა; ვულკანური წიდა (სოფ. გორელოვკა); პემზა (სოფ. დილიფი), რაც სამშენებლო მასალების წარმოებისთვის მნიშვნელოვანი რესურსია*.

ადამიანური კაპიტალი

მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის მონაცემებით, ნინოწმინდის მოსახლეობა 34 300 ადამიანს შეადგენს, აქედან 20 580 ქალია, ხოლო 13 720 – მამაკაცი, რაც განპირობებულია იმით, რომ მამაკაცები სამუშაო მიგრაციაში იმყოფებიან და არ არიან რეგისტრირებული მუნიციპალიტეტში. მოსახლეობის 18% ქალაქ ნინოწმინდაში ცხოვრობს, ხოლო 82% სოფლებშია გადანაწილებული.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ სომხები (96,12%), შემდეგ მოდიან ქართველები – 3,34% და რუსები – 0,54% მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ასაკის მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

დიაგრამა 1: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 57% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, თევზჭერას 2% მისდევს, დამამუშავებელ მრეწველობაში ჩართულია 8%, ხოლო ვაჭრობასა და მომსახურებაში 11%-ია დასაქმებული. უმუშევრობის დონე 22%-ია. მუნიციპალიტეტში 216 ოჯახი იღებს საარსებო შემწეობას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.⁵

5 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობა

* ნინოწმინდის რუკა, იხ. გვ. 35

გენდერი

საქართველოში, ზოგადად, მიჩნეულია, რომ არსებობს გენდერული დისკრიმინაცია რამდენიმე კუთხით. ქვეყანაში არსებული კულტურა და ტრადიციები განაპირობებს, რომ ოჯახში, ხშირად, საქმიანობები გადანაწილებულია გენდერული პრინციპით – „სახლის გარეთ“ აქტივობები, როგორცაა მოლაპარაკებები ტექნიკის ან სასუქების მიმწოდებლებთან, მოსავლის გაყიდვა და ყანის მოვლა, მამაკაცის პრეროგატივად ითვლება. ქალებს კი „შინაური საქმეები“ აბარიათ – სახლის/ეზოს მოვლა, საჭმლის მომზადება, რეცხვა. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად მძიმე სამუშაოებს, ძირითადად, მამაკაცები ასრულებენ – მაგალითად, მძიმე ტომრების გადატანა – როგორც წესი, კარტოფილის ან პომიდვრის მოსავლის აღებაზე ქალები მუშაობენ, რაც დიდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს. სოფლად არსებული საქმეების გათვალისწინებით, საბოლოო ჯამში, ქალებს საშუალოდ უწევთ უფრო მეტი დროის დახარჯვა საქმეებზე, ვიდრე მამაკაცებს, რადგან „სახლის გარეთა“ აქტივობები უფრო მცირეა, ვიდრე „საშინაო საქმეები“⁶.

„საშინაო“ და „საგარეო“ საქმეების გარდა, არსებობს, ასევე, „მნიშვნელოვანი“ და „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ საქმეებიც. „მნიშვნელოვანი“ გადანაწილებებს, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა, ძირითადად კაცები იღებენ. ქალები კი – „ნაკლებად მნიშვნელოვანი“ ყოველდღიურ გადანაწილებებს, როგორცაა, მაგალითად, საკვების მომზადება და ბავშვების მოვლა. რეალურად, გამოდის, რომ სწორედ ქალები წყვეტენ ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, რადგან ტექნიკის ან საქონლის შეძენა ადგილობრივი ფერმერებისთვის არ არის ხშირი მოვლენა. ოჯახის სახარჯო ბიუჯეტი, ძირითადი მოხმარების საგნების საყიდლად, ქალების განკარგულებაშია. თუმცა, „ოჯახის უფროსის“ ტიტული მაინც მამაკაცებს ეკუთვნით.⁷

სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში ქალების როლი და პასუხისმგებლობები საკმაოდ ლიმიტირებულია, მაგრამ საკმაოდ შრომატევადი. ტექნიკის დაქირავების ან მოსავლის გაყიდვის პროცესს, როგორც წესი, მამაკაცები წარმართავენ. თუმცა მოსავლის აღების, მაგალითად, კარტოფილის ამოღების სამუშაოებში, ქალები ხშირად არიან ჩართულნი.

მუნიციპალიტეტში ჩატარებული ტრენინგების და დისკუსიების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს ქალთა როლის გაზრდის პოტენციური სხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვში. მაგალითად, ქალთა ნაწილს სურს, დაეუფლოს იმ ტექნიკური საშუალების მართვას, რაზეც მოთხოვნა არსებობს მუნიციპალიტეტებში. მართალია, სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი ერთნაირი ენთუზიაზმით არ შეხვედრია მსგავს ინიციატივებს, მაგრამ შეიქმნა მსგავსი შესაძლებლობის განხილვის პრეცედენტი. ამ კუთხით ქალების როლის ზრდა მცირედით მაინც მოახდენს გენდერული როლების დაბალანსებას. საქართველოში არსებობს საკმაოდ კარგი საკანონმდებლო ბაზა გენდერული თანასწორობის კუთხით. 2010 წელს მიიღეს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რის შემდეგაც დამტკიცდა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმა. ასევე, არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომლებითაც სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება იმსჯელონ მიმდინარე გენდერულ საკითხებზე და მიიღონ გადანაწილებები. თუმცა, პრობლემად რჩება არსებული კანონების და ნორმების აღსრულება. დამკვიდრებული კულტურული სტერეოტიპები და გენდერული როლები, პრაქტიკულად, არ იცვლება. ასევე, ხშირად სხვადასხვა ცნობადი სახეები ცდილობენ გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას. საბოლოო ჯამში, ძალიან ცოტაა შანსი, რომ გენდერული როლები გათანაბრდეს.

6 ქვა (2013) გენდერის კვლევა პროექტ JOIN-ის ფარგლებში

7 ქვა (2013) გენდერის კვლევა პროექტ JOIN-ის ფარგლებში

ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების მთლიანი სიგრძე 230 კმ-ია, საიდანაც საერთაშორისო მნიშვნელობისაა თბილისი-წალკა-ნინოწმინდა-უდანოვის 181 კმ-იანი მონაკვეთი. აქედან 77 კმ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის. გზის ეს ნაწილი სრულიად ასფალტირებულია და კარგ საექსპლუატაციო მდგომარეობაში იმყოფება. ზამთრის სეზონზე ყინვების გამო დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება სისტემატურად მიმდინარეობს. ტერიტორიულ ერთეულებთან დამაკავშირებელი გზების საერთო სიგრძე 125 კმ-ია, თუმცა ისინი მხოლოდ გრუნტის საფარითაა დაფარული. ნინოწმინდა-ახალქალაქის საავტომობილო ტრასა ასფალტირებულია, თუმცა სერიოზული რეაბილიტაცია სჭირდება.

სასმელი წყლის ინფრასტრუქტურა

სასმელი წყლით უზრუნველყოფილია ქალაქი ნინოწმინდა და ყველა თემი გარდა სოფლებისა: ეშტია, თორია, უჩმანა და ყაურმა, სადაც მოსახლეობა სასმელ წყალს სოფლებში არსებული წყაროებიდან იღებს. სასმელი წყლით უზრუნველყოფილ ოჯახებს წყალი ცენტრალური გაყვანილობით ბუნებრივ წყაროებთან არსებული შემკრები რეზერვუარებიდან მიეწოდებათ. არხების განმენდა-შეკეთებას ადგილობრივი ბიუჯეტი უზრუნველყოფს, ხოლო სოფლები, რომლებიც სატუმბი სადგურებიდან იღებენ სასმელ წყალს, ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით ახერხებენ მის რეაბილიტაციას.

საკანალიზაციო სისტემა მხოლოდ ქალაქ ნინოწმინდის 35%-ს ფარავს, 2013 წელს ადგილობრივ თვითმმართველობას მოსახლეობის 5%-სთვის დამატებითი ქსელის გაყვანა აქვს დაგეგმილი.⁸

ბუნებრივი აირით მომარაგება

ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილია მხოლოდ ქალაქ ნინოწმინდის 70% და სოფელ ჯიგრაშენის 80%. სოფლებში: სათხე, განძა, დიდი კონდრიო მიმდინარეობს გაზიფიკაციის სამუშაოები. 13 სოფელში ბუნებრივი აირის ინფრასტრუქტურა საერთოდ არ არის გამართული.⁹

ელექტროენერჯით მომარაგება

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი მთლიანად არის ელექტროფიცირებული. ელექტროენერჯის მიწოდებას „ენერგო პრო ჯორჯია“ უზრუნველყოფს.

ნარჩენების მართვა

მუნიციპალიტეტში მოქმედებს ერთი ნაგავსაყრელი. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენები რეგულარულად გააქვს მუნიციპალური ცენტრიდან თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კერძო კომპანიას, რომლის ვალდებულებაა 6 თვეში ერთხელ ნაგავსაყრელის გაუვნებელყოფა. წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი მოცულობა 9 000 მ³-ია. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენები არ გააქვთ ორგანიზებულად და მოსახლეობა სტიქიურად, მიმდებარე ტერიტორიაზე ყრის ნარჩენებს, რაც მცირე ზომის უკონტროლო ნაგავსაყრელებს წარმოქმნის.¹⁰

8 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობა

9 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობა

10 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საირიგაციო სისტემების ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტში საირიგაციო სისტემა მთლიანად არის გამოსული მწყობრიდან და ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ თვითდინებით ახერხებს სავარგულების მორწყვას. შესაბამისად, წყლის რესურსის დანაკარგი საკმაოდ დიდია. სარწყავი სისტემების მართვა „საქართველოს გაერთიანებული სამელორაციო სისტემების კომპანიას“ აქვს გადაცემული. მაგისტრალური სარწყავი არხების საერთო სიგრძე 50 კმ-ია.

ცხრილი 1: სარწყავი სისტემები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში¹¹

სარწყავი სისტემები				
დასახელება	სიგრძე კმ	სარწყავის ტიპი	მორწყვის პოტენციალი ჰა	რეალური მაჩვენებელი ჰა
სპასოვკის არხი	23	თვითდინებით	2300	300
გონდორიოს არხი	12	თვითდინებით	800	500
ჯივრაშენის არხი	15	თვითდინებით	900	200

ადგილობრივი ეკონომიკა

სოფლის მეურნეობა

რაიონში 117 000 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა, 24 709 ჰა სახნავ-სათესია, 7 000 ჰა – სათიბი და 85 291 ჰა საძოვარია.

2012 შემოდგომასა და 2013 წლის გაზაფხულზე მუნიციპალიტეტში 4695 ჰა მიწის ფართობი მოიხნა, რაც 2011 წლის მონაცემთან შედარებით 483 ჰექტრით მეტია. დათესილ მარცვლეულ კულტურათა შორის ყველაზე დიდი წილი ქერისაა და 2013 წლისთვის 1582 ჰა შეადგინა, ხოლო ბოსტნეულ კულტურათა შორის ყველაზე დიდი ნათესი ფართობი – 2035 ჰა –კარტოფილზე მოდის.¹²

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მეცხოველეობა, მარცვლეულის მოყვანა და მეკარტოფილეობა. გავრცელებულია საგაზაფხულო თავთავიანი და საკვები კულტურები: ქერი, საშემოდგომო ხორბალი, კარტოფილი და ბოსტნეული. ბოსტნეულიდან მოჰყავთ: სტაფილო, ჭარხალი, ხახვი და ნიორი.

მეცხოველეობაში მოსახლეობის 80%-ია ჩართული. მუნიციპალიტეტში 39 048 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია, რაც რეგიონის მასშტაბით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 32 956-ზე მეტი ცხვარი და 5020-მდე ღორია. რძისა და ყველის წარმოება ყველაზე გავრცელებული საქმიანობაა მეცხოველეობაში. მცირე საოჯახო ტიპის საწარმოები ყველის რამდენიმე სახეობას: „ქარხნულს“, „სულგუნს“ და „ჩეჩილს“ აწარმოებენ. საძოვრების დიდი ფართობების გამო ნინოწმინდაში ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებიდან – გარდაბნიდან, მარნეულიდან და ბოლნისიდანაც ჩაჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი საზაფხულო საძოვრებზე.

მემინდვრეობაში ძირითადად განვითარებულია კარტოფილის და მარცვლოვანი კულტურების წარმოება. აგრეთვე, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების მოყვანა. კარტოფილის საჰექტრო მოსავ-

11 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობა
 12 ნინოწმინდის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

ლიანობა საშუალოდ 13,000-15,500 კგ-ია. მარცვლეული კულტურებიდან ყველაზე პოპულარული ქერისა და შვრიის წარმოებაა, რასაც მოსახლეობა მსხვილფეხა რქოსანი პირუქტყვის გამოსაკვებად იყენებს. 2013 წლის მონაცემებით, ხორბალს შედარებით ნაკლები ნათესი ფართობი – 370 ჰა – უკავია. მოსავლიანობა 1 ჰა-ზე საშუალოდ 2,500-2,700 კგ-ია. ბუნებრივ-კლიმატური პირობები საუკეთესოა მაღალი კვებითი ღირებულების, ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის (სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, სიმინდი, ხორბალი და სხვ.) წარმოებისთვის.

თევზის წარმოებით ნინონმინდაში 5-მდე ინდივიდუალური მენარმე და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა დაკავებული. კალმახს, ძირითადად, ხელოვნურ აუზებში აშენებენ.

მეფუტკრეობა ნინონმინდაში ერთ-ერთი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა. იქ არსებული ფაუნა და კლიმატური პირობები ხელს უწყობს ამ დარგის განვითარებას. მუნიციპალიტეტში დაახლოებით 2951 სკაა. ყოველწლიურად ზაფხულის სეზონზე საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მეფუტკრეებს დაახლოებით იგივე რაოდენობის სკა ჩამოჰყავთ.

მრეწველობა

ნინონმინდის მუნიციპალიტეტში ეკონომიკის წამყვან მიმართულებას წარმოადგენს რძის პროდუქტებისა და ხორცის წარმოება.

ოფიციალური მონაცემებით, მუნიციპალიტეტში 25 რძის გადამამუშავებელი საწარმო ფუნქციონირებს. 30 მცირე და საშუალო საწარმო ყველის დამზადებით არის დაკავებული. მოქმედებს 18 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და ასოციაცია. ბოლო ხანებში შეინიშნება თევზის მოშენების ტენდენცია.

მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში არის SWOT ანალიზი, რომელიც შემდგომ უფრო დეტალურად არის განხილული:

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • თბილისის ბაზრის ხელმისაწვდომობა ნალკის ახალი გზის საშუალებით • ზაფხულის საძოვრების დიდი ფართობი • მაღალი ხარისხის/კალორიული ბალახი • მეფუტკრეობა • ჯიშიანი საქონელი 	<ul style="list-style-type: none"> • ხანგრძლივი ზამთარი და დაბალი ტემპერატურა • მწირი ადამიანური რესურსები • საბანკო რესურსების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა სოფლის მეურნეობისთვის • ენის ბარიერი ეთნიკურ უმცირესობებს და ქართულენოვან მოსახლეობას შორის • მოუწესრიგებელი საგზაო და სარწყავი ინფრასტრუქტურა • ინფორმაციის ნაკლებობა სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით • ლაბორატორიის არარსებობა
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • საზღვარი სომხეთთან – პროდუქტის სწრაფად გადატანის შესაძლებლობა • სომხეთიდან დასავლეთ საქართველოსკენ და პირიქით მიმავალი მგზავრებისთვის ინფრასტრუქტურის განვითარება • ტბების რესურსები 	<ul style="list-style-type: none"> • კლიმატი: თოვლის გამო გზების ჩაკეტვა, ყინვების მიერ ინფრასტრუქტურის/სოფლ. მეურნეობის პროდუქტების დაზიანება

ძლიერი მხარეები

ნინონმინდიდან თბილისთან დაკავშირება ახლა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ეს ორი წლის წინ იყო შესაძლებელი. წალკაზე გამავალი რეაბილიტირებული გზით, რომლის დიდი ნაწილის შეკეთება „ათასწლეულის გამონვევის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა, თბილისიდან ნინონმინდაში 2-2.5 სთ-ში ჩახვალთ. მის რეაბილიტაციამდე მგზავრობა შესაძლებელი იყო ახალციხის გავლით, და თბილისში ჩამოსვლას დაახლოებით 4 საათი სჭირდებოდა.

სამგზავრო დროის შემცირება და გზის საფარის ხარისხის გაუმჯობესება პირდაპირ უკავშირდება მუნიციპალიტეტის განვითარებას. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია რძის გადამამუშავებელი კომპანიების საქმიანობა ნინონმინდაში. მათთვის ახლა შესაძლებელია რძის გადამამუშავებელი პუნქტებიდან რძის პირდაპირ ტრანსპორტირება თბილისში. გზის გაკეთებამდე ნინონმინდაში რძის კომპანიების ნაკლები აქტივობა იყო, რადგან ტრანსპორტირება დროულად ვერ ხერხდებოდა. შესაბამისად, საჭირო იყო დამატებითი ინვესტიციები ადგილობრივი რძის გადამამუშავებელი ქარხნების ასაშენებლად.

ნინონმინდის მიწის ფონდის თითქმის ნახევარი არის საზაფხულო სათიბ-საძოვრები. შესაბამისად, ზაფხულის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობისთვის იოლია საქონლის გამოკვება. მუნიციპალიტეტი მდებარეობს ზღვის დონიდან 1900-2200 მეტრზე, რაც განაპირობებს მაღალი ხარისხის საძოვრებს.

ნინონმინდა, სამცხე-ჯავახეთის სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად, ცნობილია თავისი კარტოფილით. კარტოფილის საჰექტრო მოსავლიანობა მუნიციპალიტეტში 13-15.5 ტონაა, განვითარებული ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, თუმცა საქართველოში კარტოფილის მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელი, FAO-ს მონაცემებით, მხოლოდ 9.6 ტონაა.¹³ შესაბამისად, ნინონმინდაში უფრო მაღალი მოსავლიანობაა, ვიდრე საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში.

მარცვლეული კულტურებიდან ყველაზე პოპულარულია ქერისა და შვრიის წარმოება, რასაც მოსახლეობა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოსაკვებად იყენებს. 2013 წლის მონაცემებით, ხორბალს შედარებით ნაკლები ნათესი ფართობი - 370 ჰა - უკავია. მოსავლიანობა 1 ჰექტარზე საშუალოდ 2.5-2.7 ტონაა. ბუნებრივ-კლიმატური პირობები საუკეთესოა მაღალი კვებითი ღირებულების, ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის (სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, სიმინდი, ხორბალი და სხვ.) წარმოებისთვის.

მაღალმთიანი ზონის და შესაბამისი ბუნებრივი პირობების გამო, ნინონმინდა არის საქართველოში მეფუტკრეობის ერთ-ერთი უმთავრესი კერა. მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის მიხედვით, ნინონმინდაში არის 3 ათასზე მეტი სკა. ხოლო ზაფხულის პერიოდში სხვადასხვა რეგიონიდან ნინონმინდაში ჩამოჰყავთ დამატებით 3 ათასი სკა.¹⁴

რადგან ნინონმინდაში არსებობს შესაქონლეობის განვითარებისთვის კარგი ბუნებრივი პირობები, აქაური საქონელი მიიჩნევა ჯიშინად. მეზობელ მუნიციპალიტეტებში ხშირად გადაჰყავთ ხოლმე საქონელი ნინონმინდიდან.

13 FAOSTAT, 2012 წლის მონაცემები <http://faostat.fao.org/site/567/default.aspx#ancor>

14 ნინონმინდის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი, http://ninosminda.ge/portal/alias__Ninosminda/tabid__3514/default.aspx

სუსტი მხარეები

ნინონმინდის მაღალმთიან მდებარეობას აქვს თავისი მინუსებიც. აქ იცის ხანგრძლივი ზამთარი, რომელიც 5-6 თვეს გრძელდება. იანვრის საშუალო ტემპერატურა არის -10.6 გრადუსი.

ნინონმინდაში ასევე არის ადამიანური რესურსების პრობლემაც. კერძოდ, მუნიციპალიტეტის 34,300 მოსახლიდან ნახევარზე გაცილებით ნაკლები, მხოლოდ 13,720-ია მამაკაცი. მამაკაცების დიდი ნაწილი რუსეთშია წასული სამუშაოდ.

ნინონმინდაში, ისევე როგორც საქართველოს ბევრ სხვა რეგიონში, საკმაოდ მწირია სოფლის მეურნეობისათვის კრედიტების ხელმისაწვდომობა. წლიური საპროცენტო განაკვეთები, როგორც წესი, 25-35%-ში მერყეობს. წარმატებული ბიზნესის შემთხვევაშიც კი, მოგების მარუა ძალიან მცირე იქნება.

მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული პრობლემებიც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ნინონმინდაში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება საირიგაციო სისტემებს. შესაბამისად, მოსახლეობისთვის მწვავეა ნათესების მორწყვის პრობლემა. ასევე რთულია სათიბ-საძოვრებამდე მისვლა, რადგან შიდა სასოფლო გზები მოუწესრიგებელია. შესაბამისად, მოსახლეობა ხშირად ფეხით ან ცხენით გადის დიდ მანძილებს. ეს ამცირებს მათი შრომის პროდუქტიულობას, რადგან შეუძლებელია დიდი რაოდენობის თივის ჩამოტანა.

ნინონმინდის მოსახლეობა, უმეტესად, ეთნიკური სომხებისგან შედგება. ძირითადი სასაუბრო ენა, ბუნებრივია, არის სომხური. მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არ იცის ქართული, ხოლო დაახლოებით ნახევარმა – რუსული. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის რთულია კომუნიკაცია საქართველოს დანარჩენი რეგიონების წარმომადგენლებთან, რაც შეიძლება იყოს ვაჭრობის შემაფერხებელი ფაქტორი.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც არსებობს მუნიციპალიტეტში, არის ინფორმაციის ნაკლებობა სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსახლეობამ ხშირად არ იცის ცხოველთა მოვლის ელემენტარული წესები, სასუქების გამოყენება ან მიწის დამუშავების ტექნიკები (რამაც შეიძლება მიწის გამოფიტვა გამოიწვიოს).

ინფორმაციის ნაკლებობასთან ერთად, მუნიციპალიტეტში არ არსებობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სოფლის მეურნეობის ლაბორატორიული კვლევებისთვის. ასეთი ბაზა/ლაბორატორია კარგი იქნებოდა ნათესებისთვის მიწის ფართობების შესარჩევად, ასევე ცხოველთა დაავადებების კონტროლისთვის. საბოლოო ჯამში, ეს აისახება პროდუქციაზე რადგან მისი ხარისხი არ მონმდება წარმოების მნიშვნელოვან ეტაპებზე. მაგალითად, ხშირად, ყველს ინახავენ ბეტონისგან გაკეთებულ წყლის საცავებში. დროთა განმავლობაში ეს ბეტონი იშლება და ნაშალი უშუალოდ ყველს ერევა. დღესდღეობით შეუძლებელია ასეთი შემთხვევების აღმოფხვრა და ყველის შემადგენლობის ლაბორატორიული შემოწმება.

შესაძლებლობები

ის ფაქტი, რომ ნინონმინდა სომხეთის საზღვართან მდებარეობს და ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია სომხურ ენაზე კომუნიკაცია, ხსნის სასაზღვრო ვაჭრობის დიდ პოტენციალს. ნინონმინდის

მუნიციპალიტეტის ცენტრიდან სასაზღვრო-გამშვები პუნქტი სოფელ უდანოვში, 23 კილომეტრში მდებარეობს. ეს ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის ცენტრიდან შესაძლებელია სომხეთის საზღვარზე გადასვლა 15-20 წუთში, რითაც მარტივდება პროდუქტების სწრაფი შემოტანა და გატანა.

მეორე მხრივ, დასავლეთისკენ მიმავალი მგზავრებისთვის შესაძლებელია ინფრასტრუქტურის მონ-
ყობა. ეს განსაკუთრებით დიდ შესაძლებლობას გახსნის ადგილობრივი სასტუმრო და სარესტორნე ბიზნესებისთვის მას შემდეგ, რაც დასრულდება გზის აღდგენა გოდერძის უღელტეხილზე. ეს გზა პირდაპირ დააკავშირებს რეგიონს ბათუმთან.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში არის ძალიან მნიშვნელოვანი ტბები, რაც ხელსაყრელია ტბის ტურიზმის განვითარებისთვის. სამცხე-ჯავახეთის ორი ტბა – ფარავნისა და საღამოს ტბები – ნინო-წმინდის მუნიციპალიტეტშია და ულამაზესი ლანდშაფტით გამოირჩევა.

საფრთხეები

მკაცრი კლიმატის და ხანგრძლივი ზამთრის გამო, ნინოწმინდაში არსებობს გზების ჩაკეტვის და ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაზიანების საფრთხე. ამ საფრთხის შემცირება შესაძლებელია, თუკი დაფინანსდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

მეორე ნაწილი:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა, მიზნები და პრიორიტეტები

მეორე ნაწილი: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა, მიზნები და პრიორიტეტები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის, აუცილებელია არსებული მდგომარეობის ანალიზი და სწორი სამომავლო პრიორიტეტების შერჩევა. ჩამოყალიბებული ხედვა და პრიორიტეტები მუნიციპალიტეტს მისცემს საშუალებას სწორად განსაზღვროს და დაგეგმოს ღონისძიებები ეკონომიკის განვითარებისათვის. უფრო კონკრეტულად, ასეთი ხედვა და პრიორიტეტები სასარგებლო იქნება ადგილობრივი ფერმერული მეურნეობების განსავითარებლად და ინვესტიციების მოსაზიდად. საბოლოო ჯამში, ეს აისახება მოსახლეობის შემოსავლებსა და საერთო სოციალურ ფონზე.

მუნიციპალიტეტში ჩატარებული სამუშაო შეხვედრების და SWOT ანალიზის შედეგად გამოვლინდა ნინოწმინდის განვითარების ხედვა, მიზნები და პრიორიტეტები, რომლებიც დეტალურადაა ქვემოთ განხილული.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

დაინტერესებულმა მხარეებმა ჩამოაყალიბეს მუნიციპალიტეტის მომავლის კონცეფცია, რომელიც აღწერს, თუ როგორი იქნება მუნიციპალიტეტისა და მისი მოსახლეობის მდგომარეობა მომავალში (ჩვეულებისამებრ, 3-4 წლის შემდეგ).

მოცემული ხედვა ასახავს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სფერო 4-წლიან პერსპექტივაში.

ხედვა: თუკი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სფეროში ხელმისაწვდომი იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები, ადგილობრივ ბაზარზე გაიზრდება ამ სფეროში პროდუქციის წარმოების მასშტაბები, რაც გააუმჯობესებს ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების დონეს 2016 წლისთვის.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სამუშაო შეხვედრებითა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით გამოიკვეთა მკაფიო მიზნები ადგილობრივი ბაზრის განვითარებისთვის.

მთავარი მიზნები ორიენტირებულია კონკრეტულ შედეგებზე, თუმცა ხედვასთან შედარებით მათ მაინც აღწერითი ხასიათი აქვთ:

- სოფლის მეურნეობის დარგის (მეცხოველეობის) განვითარებით ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისათვის (მცირე და საშუალო საწარმოები) სათანადო პირობების უზრუნველყოფით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

ნინონმინდის მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტები

ხედვის და ზოგადი მიზნების განსაზღვრის შემდეგ ნინონმინდის მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა განვითარების რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. პრიორიტეტები დაიყო პირველი და მეორე რიგის პრიორიტეტებად. პრიორიტეტული მიმართულებები დაეყრდნო SWOT ანალიზს, მუნიციპალიტეტის პროფილს, ხედვასა და ზოგად მიზნებს.

პირველი რიგის პრიორიტეტები:

- **აგრო-განათლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.** აუცილებელია, ფერმერებს ჰქონდეთ სოფლის მეურნეობის შესაბამისი განათლება, რომ სწორად დაგეგმონ საწარმოო პროცესი. ფერმერებმა ხშირად არ იციან რძის შეგროვების, შენახვის და დამუშავების დადგენილი წესები. მათ, ასევე, არა აქვთ ინფორმაცია პოტენციური ბაზრების და ფასების დინამიკის შესახებ. სოფლის მეურნეობის სფეროში მცირეა პროფესიონალების რაოდენობა, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნის ფერმერებს. ამიტომ, ვეტერინარების და აგრონომების მომზადება მნიშვნელოვანი ამოცანაა მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.
- **ინვესტიციების მოზიდვა.** ინვესტიციების მოზიდვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (რძის და ხორცის) გადამამუშავებელი საწარმოების და სასაწყობე სამაცივრე მეურნეობების შესაქმნელად.

მეორე რიგის პრიორიტეტები:

- **ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება.** სომხეთის საზღვართან სიახლოვე, განვითარებადი ინფრასტრუქტურა და ინფორმაციის გაცვლის არხები ხელსაყრელია ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობისთვის. შესაბამისად, შესაძლებელია ფოკუსირება სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე.
- **ჯიშების გაუმჯობესება.** ბუნებრივი პირობების და კლიმატის გამო, ნინონმინდაში არის კარგი პირობები მესაქონლეობის განვითარებისთვის. ამიტომ, მნიშვნელოვანია ახალი, უფრო პროდუქტიული ჯიშების შემოყვანა და გამრავლება.
- **ლაბორატორიული კვლევები.** გრძელვადიანი განვითარებისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტში იყოს ლაბორატორიული შემოწმების საშუალება. ფერმერებს და დაინტერესებულ პირებს უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა სახის ანალიზის გაკეთების საშუალება: ნიადაგის ანალიზი, რომ განისაზღვროს, რა სახის კულტურების დათესვა სჭობს; რძის და რძის პროდუქტების შემადგენლობის ანალიზი, რომ მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფა.
- **ხელმისაწვდომობა მაღალი ხარისხის კარტოფილის სათესლე მასალაზე.** ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის თბილისის ბაზარს, საშუალებას აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას მოიყვანონ მეტი კარტოფილი და სხვა მცენარეები და გაყიდონ ქალაქში. ამიტომ, მაღალპროდუქტიულ სათესლე მასალებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად წაადგებოდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებას.

მესამე ნაწილი:

ნინონმინდაში წარმოებული ყველის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი

ყველის წარმოება ნინონმინდაში

ნინონმინდის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ყველაზე გავრცელებული სექტორი მესაქონლეობაა. ადგილობრივი თვითმმართველობის მონაცემებით, 2012 წელს მუნიციპალიტეტში 22,300-ზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი აღირიცხა. საშუალო წველადობამ კი წლის განმავლობაში 1.3-1.8 ტონა შეადგინა.

ამ დარგის განვითარება გამონვეულია ადგილობრივი კლიმატური პირობებით და გეოგრაფიული მდებარეობით – მუნიციპალიტეტი მდებარეობს ზღვის დონიდან 1800-3189 მეტრზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოიცავს საძოვრებისა და სათიბების მნიშვნელოვან ფართობებს, რაც პირუტყვს უზრუნველყოფს უხეში საკვებით და ხელს უწყობს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას. ამავე თვალსაზრისით, წალკის გავლით თბილისთან დამაკავშირებელი გზაც ერთ-ერთი ხელსაყრელი ფაქტორია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დისტანციას გასაღების ბაზრებთან და ზრდის მყიდველების რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ მესაქონლეობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრადიციული დარგია.

ფერმერები აწარმოებენ როგორც რძეს, ასევე რძის ნაწარმს და ხორცს. ერთ-ერთი წამყვანი დარგია ყველის წარმოება, რომელსაც ფერმერები მრავალი წლის განმავლობაში მისდევენ. ადგილობრივი ყველი საქართველოს ბაზარზე ცნობილია როგორც „ნინონმინდის ქარხნული ყველი“ და ხასიათდება მაღალი საგემოვნო თვისებებით და ცხიმოვანობით. ამავე დროს, ყველის წარმოება სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ნაკლებად დამოკიდებულია ბაზარზე რძის და ყველის ფასების შეფარდებაზე. ნინონმინდის ყველის ფასი მუდმივად მაღალია „გლეხურ“ ყველთან შედარებით და მასზე ტრადიციულად მაღალი მოთხოვნაა, რასაც ხელს უწყობს ის ფაქტორიც, რომ ამ ტექნოლოგიით წარმოებული ყველი ხასიათდება სიმწიფით და სხვა ყველთან შედარებით შენახვის გრძელი ვადით. ფერმერთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, ძირითადად, დამოკიდებულია ოჯახების შესაძლებლობებზე (სათიბ-საძოვრების და სახნავი ფართობი, ოჯახების წევრთა რაოდენობა და გენდერული შემადგენლობა, ეკონომიკური შესაძლებლობა და სხვ.). უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მესაქონლეობის პროდუქციაზე, კერძოდ, ყველზე, საბაზრო ფასებმა საგრძნობლად მოიმატა (1 კგ „ნინონმინდის ქარხნული ყველის“ საბაზრო ფასია 6.50-7 ლარი – ბაფხულში და 10-12 ლარი – ბამთარში, შესაბამისად, 1 კგ სულგუნი 8-9 ლარი და 12-14 ლარი ღირს), ხშირად ამის გამო ფერმერები ზრდიან მენველი ფურების სულადობას, თუმცა თითქმის არცერთ მცირე მეურნეობაში არ აწარმოებენ რეგულარულ ხარჯთაღრიცხვას, საკუთარ შრომას საერთოდ არ მოიაზრებენ ხარჯებად, არ ადგენენ მოგება-ზარალის უწყისს და თუ ზოგიერთ შემთხვევაში ითვლიან შემოსავალს, თითქმის არასოდეს – სუფთა მოგებას.

მიუხედავად ნინონმინდის მუნიციპალიტეტში მესაქონლეობის დარგის გავრცელებისა, აქაც არსებობს უამრავი პრობლემა, რომელიც დამახასიათებელია როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე ნინონმინდის

მესაქონლეობისათვის და პირდაპირ მოქმედებს პირუტყვის პროდუქტიულობასა და ყველზე ფასის წარმოქმნაზე. საყოველთაო პრობლემაა ის, რომ ხშირად ფერმერებმა არ იციან საქონლის კვების, მოვლა-პატრონობის, რძის წარმოების და გადამუშავების ელემენტარული წესები. განვიხილოთ მესაქონლეობის გაძღოლის სისტემის ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი, არსებული სირთულეები და შევეცადოთ ფერმერს დავანახოთ თუ როგორაა შესაძლებელი არსებულ პირობებში, მცირე დამატებითი დანახარჯებით საქონლის პროდუქტიულობის ამაღლება.

ჯიშები და მათი გაუმჯობესება

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ნინონმინდაში ფართოდ იყო გავრცელებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ისეთი ჯიშები, როგორცაა კავკასიური ნაბლა და შვიცი. ეს ჯიშები ხასიათდება მაღალი სარძევე და სახორცე პროდუქტიულობით. ამ წლებში აქ არსებობდა რამდენიმე რეპროდუქციის ცენტრი (სანაშენე მეურნეობა). დღეისათვის, მიუხედავად სანაშენე საქმიანობის არარსებობისა და აბსოლუტურად უკონტროლო შეჭვარებისა, სოფლად გავრცელებულ პირუტყვს შენარჩუნებული აქვს ამ ჯიშებისთვის დამახასიათებელი დადებითი თვისებების ნიშნები – შედარებით მაღალი წველადობა (1300-1800 და მაქსიმუმ 2000 ლ-მდე), კარგი შეხორცება და ექსტერიერი. თუმცა არადამაკმაყოფილებელი ზოოჰიგიენური პირობების, კვების პროფილაქტიკის, მკურნალობის და არასწორი განაყოფიერების გამო ეს პირუტყვი ვერ აღწევს პროდუქტიულობის გენეტიკურ პოტენციალს. ამავე დროს, საქართველოს სოფლებში ძირითადად არსებული პირუტყვის ფონზე ნინონმინდის მსხ. რქ. პირუტყვს, და განსაკუთრებით ფურებს ერთ-ერთი მაღალი პროდუქტიულობის მქონე საქონლის სახელით იცნობენ. ამ ცხოველზე დიდი მოთხოვნაა და ბოლო წლებში გადამყიდველებს ნინონმინდის პირუტყვით ვაჭრობის მთელი ჯაჭვი აქვთ აგებული. სახორცე მოზვრები, დეკეულები და ზოგჯერ მენწველი ფურები სპეციალურად მოწყობილი სატვირთო ტრანსპორტით გაჰყავთ რაიონიდან და ძვირად ყიდიან ახალციხისა და ქვემო ქართლის ცოცხალი პირუტყვის ბაზრებზე. ამ პირუტყვის ფართოდ გავრცელებას ხელს უშლის რამდენიმე ფაქტორი: ნინონმინდის მოსახლეობა იშვიათად ყიდის მაღალპროდუქტიულ მენწველ ფურებს და საფურე დეკეულებს, საქონელი ცუდად ეგუება მარნეულის და თეთრიწყაროს კლიმატურ პირობებს, ცუდი ხარისხის თივას და ხშირად მათი 30-40% იღუპება იმის გამო, რომ ახალი პატრონები ვერ უწყობენ ხელს საქონლის აკლიმატიზაციას.

ბოლო წლებში ნინონმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში ზოგიერთმა ფერმერმა დაიწყო მაღალპროდუქტიული ჯერსის და შვიც ბრაუნის სუფთა ჯიშის პირუტყვის შექმნა. მათი სიძვირისა და ჩამოყვანასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, ასეთი საქონელი მხოლოდ ერთეულებს შემოჰყავთ.

სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი მასობრივად ვერ დაინერგა შემდეგი მიზეზების გამო:

1. პროგრამა მიმდინარეობდა 2-3 წელი, მნიშვნელოვანი შედეგის მისაღწევად კი ფართომასშტაბიანი განაყოფიერება მინიმუმ 8 წელი უნდა გრძელდებოდა (მესამე თაობის ჰიბრიდის მიღებამდე) .
2. სოფლებში, როგორც წესი, ერთდროულად ერთ ჯოგში არიან დაუკოდავი ბულები, ახალგაზრდა დეკეულები და ფურები. ამ პირობებში კი ხელოვნური განაყოფიერება მეტად რთულდება;
3. სპეციალისტების მწირი რაოდენობა;
4. არ არსებობს პირუტყვის ნუმერაციის/იდენტიფიკაციის სისტემა. 2012 წელს იყო მისი ამუშავების მცდელობა, მაგრამ დღეისათვის რეგულარულად და მკაცრად არ ტარდება;

5. მუნიციპალიტეტში არ არსებობს თანამედროვე ვეტლაბორატორიები;
6. არ არსებობს პირუტყვის დაზღვევა;
7. მოსახლეობამ არ იცის ახალშობილი ხბოს სწორი მოვლა-შენახვა;
8. პროფილაქტიკური ვეტ ღონისძიებები არარეგულარულად და არასაკმარისად ტარდება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში საკმაოდ დიდი რაოდენობით შეირჩევა მაღალი შეხორცების, კარგი გენეტიკური პოტენციალის, 350 კგ-ს ზევით ცოცხალი მასის მქონე პირუტყვი და, შესაბამისად, შესაძლებელია ხელოვნური განაყოფიერების პროგრამის სრულყოფილი ჩატარებაც.

დაავადებები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, როგორც საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში, გავრცელებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ბევრი დაავადება: ინფექციური, ინვაზიური, არაგადამდები და სხვ. დაავადებების გაჩენა-გავრცელებას ხელს უწყობს ის ფაქტორიც, რომ მუნიციპალიტეტის საძოვრებზე ზაფხულში პირუტყვს სხვა რეგიონებიდან ერეკებიან და აბანაკებენ. ამ დაავადებების უმეტესობა საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის დაავადებული ცხოველების მოვლისას და მათგან მიღებული პროდუქტების მოხმარებისას. მკვეთრად ეცემა დაავადებული პირუტყვის პროდუქტიულობა, მისი რძის ან ხორცის გამოყენება კი საერთოდ აკრძალულია.

ხშირად ფერმერებს წარმოდგენა არა აქვთ, თუ რამდენჯერ და რა პირობების დაცვით უნდა ჩატარდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები. მათ არ იციან, რომ შინაგანი და გარეგანი პარაზიტებისაგან დროულად და სწორად გათავისუფლებული საქონლის პროდუქტიულობა 20-30% -ით იზრდება. ფერმერებმა არ იციან, რომ აცრის შემდეგ აუცილებელია დაყოვნება (მოცდა), გარკვეული დროით მესაქონლეობის პროდუქციის გამოყენების შეზღუდვა; არ იციან აცრების ჩატარების ელემენტარული წესები და ჯერადობა, როგორ უნდა გამოვლინდეს დაავადება ადრეულ სტადიაზე და რა ხერხებს უნდა მიმართონ, რომ გამოჯანმრთელებული პირუტყვის პროდუქტიულობა სწრაფად აღდგეს.

საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში, მათ შორის, ნინოწმინდაში, სადაც დაავადებების გავრცელების რისკი მაღალია, სურსათის ეროვნული სააგენტო პირუტყვის სავალდებულო აცრას ახორციელებს. პირუტყვის ვაქცინაცია თურქულზე წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე კეთდება. ციმბირის წყლულზე აცრები მხოლოდ ამ დაავადების აღმოჩენის შემდეგ, მათი შემდგომი გავრცელების თავიდან არიდების მიზნით ხდება. 2012 წელს ციმბირული წყლულის (ჯილეხის) საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრა ჩატარებული იყო ზაფხულის ცხელ დღეებში (ჰაერის ტემპერატურა 30 გრადუსზე მეტი). ასეთ პირობებში იმუნიტეტი ხშირად ვერ ვითარდება და აცრილი ცხოველი შესაძლებელია დაავადდეს ჯილეხით.

ნინოწმინდის ფერმერებმა პროფილაქტიკისთვის თავად უნდა აცრან საქონელი ემკარის, პასტერელოზის და ცოფის საწინააღმდეგოდ. ხშირად ასეთი აცრები იწყება მხოლოდ მაშინ, როცა სოფელში დაავადება ჩნდება და პირუტყვი ეცემა. ასეთ შემთხვევაში აცრები დაგვიანებულია.

თუკი ფერმერები გაითავისებენ ყველა ძირითადი პრევენციული ზომის აუცილებლობას, ეს ხელს შეუწყობს მესაქონლეობის რენტაბელობასა და მაღალხარისხიანი პროდუქციის მიღებას.

ვეტერინარია/კონსულტაციები

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია განსაკუთრებით საშიში დაავადებების სანინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო და სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზებაზე. გარდა ამისა, დებულების თანახმად, სამსახურს ევალება კერძო ვეტერინარული საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა. სამსახური ქალაქ ნინოწმინდაში მდებარეობს და მის შტატში მხოლოდ ერთი ვეტერინარია, რის გამოც სოფლის მოსახლეობისთვის მათი სერვისი ნაკლებად ხელმისაწვდომია და ამიტომ კერძო ვეტერინარების მომსახურებით სარგებლობს. სააგენტოს თანამშრომლები ცდილობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კერძო ვეტერინარებთან მუდმივი კონტაქტი ჰქონდეთ და გაცვალონ ინფორმაცია, რათა დროულად გამოავლინონ დაავადებები და დაგეგმონ ღონისძიებები მათი გავრცელების წინააღმდეგ. თუკი ფერმერმა საკუთარი ინიციატივით აცრა პირუტყვი, ამის შესახებ ვეტერინარები ატყობინებენ სააგენტოს. ინფორმაციის გაცვლა აცრებზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული აცრების დაგეგმვისას, რამდენადაც აცრების ჩატარების შემდგომ მინიმუმ 14 დღის განმავლობაში სხვა ვაქცინაციის ჩატარება აკრძალულია.

კერძო ვეტერინარული სამსახური თავისი ლაბორატორიებით (დებულების თანახმად) პრაქტიკულად არ შექმნილა. ადრე არსებული ვეტ პუნქტების და სამკურნალოების პრივატიზაციის და დაშლის შედეგად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ფაქტობრივად განადგურდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუშაობს 30-მდე ვეტექიმი (აქედან 9 ვეტექიმი ქალაქ ნინოწმინდაშია). ვეტექიმები, ძირითადად, არიან 55-60 წლის მამაკაცები, რომლებიც დამოუკიდებლად, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ მუშაობენ. ფასები არ არის ფიქსირებული და განისაზღვრება ფერმერთა შესაძლებლობებისა და დაავადების სირთულის მიხედვით, ზოგჯერ მკურნალობა ტარდება ე. წ. კრედიტში. მათ არ გააჩნიათ არავითარი სერიოზული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ან თანამედროვე აღჭურვილობა. ხშირად პირუტყვს მოძველებული მეთოდებით და ნაკლებად ეფექტიანი პრეპარატებით მკურნალობენ (ანუ ვეტექიმის ხელთ არსებული ვეტ პრეპარატებით). როგორც წესი, ერთი ვეტექიმი ემსახურება რამდენიმე სოფელს და საკმაოდ ძნელად ხელმისაწვდომია ფერმერთათვის, განსაკუთრებულად ბოლო წლებში, პირუტყვის გაზრდილი სულადობის ფონზე. ამავე დროს, კერძო ვეტექიმი ხშირად ფერმერთა განათლების ერთადერთი წყარო და იმედია დაავადებული საქონლის გადასარჩენად. როგორც წესი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ჩატარებული მკურნალობის ან პროფილაქტიკის შემდეგ ფერმერებმა არ იციან, თუ რა პრეპარატით უმკურნალებს პირუტყვს ან რა დაავადების სანინააღმდეგოდ გაკეთდა ვაქცინაცია, რომ არაფერი ვთქვათ ვაქცინაციის ჩატარების წესების დაცვასა და ვაქცინის გამოყენების წესებზე. ვეტ ექიმებთან ურთიერთობა, ტრადიციებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, მამაკაცებს უწევთ.

თუკი ნინოწმინდის ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ხარისხიანი ვეტ კონსულტაციები და პრაქტიკული მეცადინეობები, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საქონლის ჯანმრთელობა და ამალღდება პროდუქტიულობა. მაგალითად, ზოგიერთი დაავადების დროული დიაგნოსტიკა პროდუქტიულობის დანაკარგებს 20-50%-მდე (ტიმპანია, ინტოქსიკაციები, დისპეპსია, მასტიტები და სხვ.) ამცირებს, ხოლო დროულად და თანამედროვე პრეპარატებით ჩატარებული დეჰელმინტიზაციითა და დეზინფექციით პროდუქტიულობის დანაკარგები მინიმუმ 30%-ით მცირდება.

ვეტერინარული აფთიაქები

ნინონმინდის მუნიციპალიტეტში სულ რამდენიმე ვეტერინარული აფთიაქია, სადაც კერძო ვეტერინარებს და ფერმერებს სხვადასხვა ვეტ პრეპარატების შეძენა შეუძლიათ (ვაქცინები, ანტიბიოტიკები, შინაგანი და გარეგანი პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატები, ვიტამინები, მასტიტების, სხვა დაავადებების სამკურნალო პრეპარატები, პეპსინი, სადებინფექციო საშუალებები და სხვ.). მაგრამ, როგორც წესი, არჩევანი საკმაოდ მწირია. ყველა ამ პრეპარატის ერთი ან მაქსიმუმ ორი სახეობაა გაყიდვაში. ზოგიერთი პრეპარატის გამოყენება, არსებული ეტიკეტის მიუხედავად, დაუშვებელია ცხოველებისთვის. ასეთია პრეპარატი „კარატე“, რომელიც ძლიერი ინსექტიციდია და შეიქმნა კარტოფილში კოლორადოს ხოჭოს მოსასპობად, მაგრამ ეტიკეტზე აწერია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია საქონლის გარეგანი პარაზიტების საწინააღმდეგოდ. პარაზიტებს ეს პრეპარატი სპობს, მაგრამ ამავე დროს ტოქსინები აღწევენ რძეში, რომლის გამოყენება 2-3 კვირის განმავლობაში აკრძალულია და ა. შ. ვეტ აფთიაქებში მუშაობენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები. ისინი ვეტექიმები არიან და ხშირად ფერმერებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე თავად უნიშნავენ მკურნალობას პირუტყვს და არჩევენ პრეპარატებს. ვეტ აფთიაქებში ფერმერები იღებენ ინფორმაციას არსებული წამლების და ვაქცინების, მათი გამოყენების წესების და დოზების შესახებ. მაგრამ აუცილებელია ფერმერმა იცოდეს, რას უნდა მიაქციოს ყურადღება პრეპარატის შეძენისას, ანუ უნდა იცოდეს ვეტპრეპარატების შერჩევის ელემენტარული წესები, რაც განაპირობებს პირუტყვის ხარისხიან პროფილაქტიკა-მკურნალობას.

დაავადებების დიაგნოსტიკა

ნინონმინდაში არსებული სახელმწიფო ვეტერინარული ლაბორატორიის დაშლის შემდეგ ყველაზე ახლოს მდებარე ლაბორატორია ქალაქ ახალციხეშია. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სხვადასხვა საშიში დაავადების მასობრივი გამოკვლევა ყოველთვის რთული იყო შემდეგი მიზეზების გამო: მოსახლეობამ არ იცის რამდენად საშიში შეიძლება აღმოჩნდეს ბრუცელოზის და ტუბერკულოზის გავრცელება ადამიანისთვისაც; მუნიციპალიტეტში არ არსებობს ლაბორატორია და გამოკვლევების ჩატარება მხოლოდ ახალციხეშია შესაძლებელი; ხშირად მიუწვდომელია საჭირო სპეციალისტი სისხლის ასაღებად; ამას თან ერთვის ისიც, რომ სახელმწიფო პროგრამით ბრუცელოზსა და ტუბერკულოზზე საყოველთაო გამოკვლევების ჩატარება აღარ ფინანსდება. ამიტომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამგვარი გამოკვლევებისთვის დამატებით ფინანსურ ხარჯებს თავს არიდებს.

როგორც წესი, ბრუცელოზით დაავადებაზე გამოკვლევას ატარებენ მხოლოდ ის ოჯახები, რომლებიც ინფორმირებულნი არიან ბრუცელოზით პირუტყვის დაავადების შესახებ და ესმით, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ეს დაავადება მათი ოჯახების წევრებისთვის. ამასთან, რეგიონში არ არსებობს სანიტარიული სასაკლაო და დაავადების აღმოჩენისას ფერმერები დაავადებულ პირუტყვს ცოცხალი პირუტყვის ბაზარზე ყიდიან.

თუკი საქონელი დაეცა და ექიმს გაუჩნდა ეჭვი საშიშ ინფექციურ დაავადებაზე (ჭილეხი, ცოფი, ინტოქსიკაცია), ვეტექიმი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სურსათის უვნებლობის სამსახურს. ამ შემთხვევაში სამსახური თავად აგზავნის პათმასალას ლაბორატორიაში და ხარჯებსაც თავად ანაზღაურებს.

ყველა სხვა შემთხვევაში ვეტექიმი ვიზუალური დაკვირვებით თავად სვამს დიაგნოზს. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ მუნიციპალიტეტში ლაბორატორიის დაშლის შემდეგ არ არსებობს

ადგილი (ე.წ. ბეიკერის ორმო), ან სპეციალურად შემოკავებული სამარხი ლეშის გასანადგურებლად, შესაბამისად, კარგ შემთხვევაში, დაცემული პირუტყვის ლეში იმარხება, უფრო ხშირად კი იყრება სოფლის ნაგავსაყრელზე ან სხვა ადგილზე, რაც ასევე ხელისშემწყობი პირობაა დაავადების გასავრცელებლად.

ამრიგად, რაკი მუნიციპალიტეტში არ არსებობს კვლევითი ლაბორატორია, სანიტარიული სასაკლაოები და ბეიკერის ორმოები, მოსახლეობა ცუდად ერკვევა ვეტერინარიაში, იზრდება საქონელში სხვადასხვა საშიში დაავადების გავრცელების რისკი და, როგორც შედეგი, საეჭვო ხდება მეცხოველეობის პროდუქტების კეთილსაიმედოობა, რომ არაფერი ვთქვათ მის რაოდენობასა და ხარისხზე.

პირუტყვის კვება

როგორც სხვა რეგიონებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ფერმერთა უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს, თუ რას ნიშნავს პირუტყვის სრულფასოვანი კვება. როგორი უნდა იყოს პირუტყვის სხვადასხვა ჯგუფის რაციონი (ახალშობილი ხბო, მოზარდი, მენველი ან მაკე ფური, ბულა, ხარი), თუ როგორ უნდა შეფასდეს საკვების კვებითი ღირებულება, როგორი სახეობის საკვები უნდა მიიღოს საქონელმა წელიწადის სხვადასხვა დროს.

ნინოწმინდის მოსახლეობის პირუტყვი, საქართველოს სხვა რამდენიმე რეგიონთან შედარებით, ძირითადად, უზრუნველყოფილია უხეში საკვებით.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა საძოვრების დიდი რაოდენობით, რომლებსაც საზაფხულო საძოვრებად საქართველოს სხვა რეგიონებიც იყენებენ.

გვიანი შემოდგომიდან გაზაფხულამდე, ექვსი თვის მანძილზე პირუტყვი ბაგურ კვებაზეა. ფერმერები იყენებენ როგორც თივას, ასევე საკვების დანამატებსაც. ერთი სული ძროხის გამოსაკვებად ორ ტონა თივას მოიხმარენ. თივას ფერმერები, ძირითადად, თვითონ ამზადებენ. კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთების გათიბვა ფასიანია და 2012 წელს ერთი ჰექტარი დაახლოებით 150 ლარი ღირდა, 1 ცალი თივის „ტუკის“ დაპრესვა – 0,2-0,3 ლარი, ტრანსპორტირების ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოშორებულია სათიბი სახლს. ჩვეულებრივ, თიბვას ივლისის ბოლოდან იწყებენ სათიბი აგრეგატებით. მწყემსვა და ზამთრისთვის საკვების დამზადება დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს, ამიტომ ამ საქმიანობებს უმეტესად მამაკაცები ასრულებენ.

ბოგჯერ, კულტურების მონაცვლეობის მიზნით, მოსახლეობა მიწის ნაკვეთებში თესავს იონჯას, რაც ასევე გამოიყენება პირუტყვის საკვებად.

კომბინირებული საკვების გამოყენებისას ძროხა 2-3 ლიტრით მეტ რძეს იძლევა. თუმცა, მისი მაღალი ღირებულების გამო მცირე ფერმერებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია. საშუალო და დიდი ფერმერები უფრო ხშირად იყენებენ მას. ერთი ტონა კომბინირებული საკვები, რომელშიც შედის მარცვლოვანი კულტურები (ქერი, შვრია, ხორბალი, სიმინდი) და სხვა საკვები დანამატები (მგესუმბირის ან სოიოს კოპტონი, ვიტამინები, თევზის ან ხორცის მშრალი ფქვილი, მარილი და სხვ), დაახლოებით 800 ლარი ღირს. თუმცა, შემადგენლობა, როგორც წესი, კვებით მოთხოვნილებებზე არ არის მორგებული და მასში ის კომპონენტები ჭარბობს, რომლის მოსავალიც იმ წელს მაღალია. ამავე დროს, ნინოწმინდის ტერიტორიაზე ფერმერებს მოჰყავთ ისეთი მარცვლოვნები, როგორიცაა

ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია. ეს კულტურები პირუტყვის კონცენტრირებული საკვებია. ასევე გამოიყენება ამ კულტურების ნამჭა. თუკი მოსახლეობას ეცოდინება კომბინირებული საკვების დამზადების რეცეპტურა, ისინი საკუთარი რესურსებით, უმნიშვნელო დამატებითი ხარჯებით შეძლებენ სრულფასოვანი კომბინირებული საკვების დამზადებას, რომელთა კომპონენტები შეიძლება იყოს არაკონდიციური დაღერდილი ხორბალი, ქერი, შვრია, იონჯის თივის ფქვილი, მარილი, ხორბლის ქათო, ვიტამინები (კომპლექსები იყიდება ვეტ აფთიაქებში და ფასი ხელმისაწვდომია), შესაძლებლობიდან გამომდინარე ცოტა (5%) მზესუმზირის კოპტონი. ამგვარი კომბინირებული საკვების შეყვანა (3 კგ დღეში) მენველი ფურების რაციონში წვნიან საკვებთან ერთად შემოდგომა-ზამთრის პერიოდში წველადობას 50-60%-ით ზრდის. რაც შეეხება წვნიან საკვებს, ადგილობრივი ფერმერები იყენებენ მათ მეურნეობებში წარმოებულ არაკონდიციურ კარტოფილს, კომბოსტოს, ყაბახს, გოგრას და სხვა ბოსტნეულის ნარჩენებს. თუმცა ამ ზონაში სარწყავ ფართობებზე (შეიძლება საკარმიდამო 0,05-0,1ჰა ნაკვეთის გამოყენება) თავისუფლად შესაძლებელია საკვები ჭარხლის მოყვანა. ეს საკვები კულტურა მაღალ მოსავლიანია (70-100 ტ/ჰა) და მისი მოყვანა არ ღირს ძვირი. საკვები ჭარხლის შეყვანა (დაახლ. 10 კგ დღეში) კომბინირებულ საკვებთან ერთად მენველი ფურების რაციონში, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვნად ზრდის წველადობას და აუმჯობესებს ფურების ჯანმრთელობას და პროდუქციის ხარისხს.

კარგი იქნება არსებული სათიბ-საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესება და, როგორც მინიმუმ, საძოვრებზე მოისპოს შხამიანი ბალახები. ეს ბალახები ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით (ამ დროს ბალახის საფარი დაბალია) თავს იჩენს საძოვრებზე და მშვიერი საქონელი მათ სხვა ბალახთან ერთად მიირთმევენ; შედეგად, პირუტყვს უვითარდება მძიმე ინტოქსიკაციები, ტიპზანის (გაბერილობის) და წინაკუჭების ატონიის და დისპეპსიის ფონზე. პირუტყვის მონამვლების თავიდან ასაცილებლად შხამიანი ბალახების მოსპობასთან ერთად (რაც ხარჯებთან არის დაკავშირებული) საჭიროა საქონელი დილით არ გაიშვას საძოვარზე მთლად მშვიერი (უნდა მიეცეს ცოტა რაოდენობით საკვები), რათა ძოვებისას ცხოველმა შეძლოს ბალახების შერჩევა.

რძის დამზადება

ადგილობრივი ჯიშის ძროხა წლის განმავლობაში საშუალოდ 240 დღე იწველება. ზაფხულის მანძილზე, საშუალოდ, ძროხა 10-12 ლიტრ რძეს იძლევა. შემოდგომის პერიოდიდან რძის რაოდენობა იკლებს, ზამთარში კი ნახევრდება და 5-6 ლიტრამდე ჩამოდის. საშუალოდ, წლის განმავლობაში, ერთი ძროხა 1300-1800 ლიტრ რძეს იძლევა, რაც საქართველოს პირობებში მაღალ წველადობად ითვლება (შესადარებლად, გარდაბნის მუნიციპალიტეტში ფურის წლიური წველადობა საშუალოდ 800-1100 ლიტრია), თუმცა მაინც ძალიან დაბალია, მაგალითად, ევროპაში საშუალო დღე-ღამური წველადობა 25-35 ლიტრ რძეს შეადგენს და ლაქტაცია მინიმუმ 300 დღე გრძელდება.

პირუტყვს ხელით წველიან. მცირე ფერმერული მეურნეობები, რომლებსაც 2-3 ძროხა ჰყავთ, ამას საკუთარი ძალებით აკეთებენ. შედარებით დიდი ფერმერები მწველავად ქალებს ქირაობენ. ერთი ძროხის მოწველაში მწველავები თვეში 20 ლარს იღებენ. ქალები საშუალოდ დღეში 10-15 ძროხას წველიან.

მოსახლეობაში მოსაწველი მექანიკური საშუალებები ნაკლებად პოპულარულია მათი სიძვირის გამო. ამის მეორე მიზეზია ფერმერებში გავრცელებული ინფორმაცია, რომ მექანიკური საშუალებები საქონლის ცურს აზიანებს, რაც სხვადასხვა დაავადებას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ მონველის დროს მწველავები, როგორც წესი, მკაცრად არ იცავენ პირადი და ზოგადი პირველადი პროდუქტის (რძის) მიღების ჰიგიენას. საერთოდ, მერძეული მეძროხეობის ზოოჰიგიენური ნორმები უხეშად დარღვეულია კერძო მსხვილ და მცირე მეურნეობებში (შენობა-ნაგებობები, ვენტილაცია, სადგომები, მათი პარამეტრები, საწუნწუხე ორმო, ნაკვლასაცავი, საძროხის მიკროკლიმატი, საკვებურები, პერსონალის და რძის წარმოების ჰიგიენა). ფერმერებმა ცოტა რამ იციან ზოოჰიგიენური წესების დაცვის შესახებ. და თუ მთლიანად წესების დაცვა ხშირად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ელემენტარული ნორმების დაცვა და სადგომში ფანჯრების მონყობა საკმაოდ აუმჯობესებს პირუტყვის ჯანმრთელობას და მიღებული პროდუქციის ხარისხს. საერთოდ, სოფლის მეურნეობაში ცხოველთა მოვლა-შენახვის და პირველადი პროდუქციის მიღების ზოოჰიგიენური ნორმების დაცვა განაპირობებს ადამიანისთვის უსაფრთხო მეცხოველეობის პროდუქტების მიღებასა და მათი შემდგომი გადამუშავების კეთილსაიმედოობას.

ყველის დამზადება

მცირე ფერმერულ მეურნეობებში მონველის შემდეგ ქალები ყველის დამზადებაზე გადადიან. ყველის ყველაზე გავრცელებული სახეობა, რომელსაც ნინონმინდაში აკეთებენ, ე.წ. ქარხნული ყველი და სულგუნია.

ბაზარზე არსებული მოთხოვნილების შესაბამისად, ფერმერები ძირითადად, ორი სახის ყველს, უმეტესად, საკუთარი ძალებით, კუსტარულად ამზადებენ.

ვინაიდან რძე მალეფუჭებადი პროდუქტია, ყველი მონველიდან მოკლე პერიოდში მზადდება. ერთი კგ ყველის მისაღებად 6-8 ლიტრი რძეა საჭირო. რძე ცხელდება 32-38⁰-მდე. შემდეგ შესაღებლად ემატება ფერმენტი პეპსინი (ან მაჯიკიდან დამზადებული ფერმენტი), რომელიც რძეს ჭრის. შემდეგ საჭიროა რძის ტემპერატურის შენარჩუნება რძის შედედებამდე, დაახლოებით 20-30 წუთი. შედედებული რძეს წურავენ და მიღებულ მასას ანაწილებენ ფორმებში.

სულგუნი მზადდება თხელ ნაჭრებად დაჭრილი ჭყინტი ყველის მოხარშვით. ნაჭრები თავსდება ცხელ წყალში და ურევნენ, სანამ წელვად ცილოვან მასას არ მიიღებენ. შემდეგ იღებენ წყლიდან და მასას ანაწილებენ ფორმებში.

ყველის გემოვნური და სხვა ორგანოლექტიკური თვისებები დამოკიდებულია რძის ხარისხსა და ცხიმობიანობაზე, ყველის (სულგუნის) დამზადების ტექნოლოგიური პროცესის და ჰიგიენის ნორმების დაცვაზე. ხშირად ოჯახებში იყენებენ ყველის დამზადების ტრადიციულ რეცეპტურას, რომელიც გადადის თაობიდან თაობამდე და ითვლება ოჯახების საიდუმლოდ.

ყველის შენახვა

ფერმერები ყველს მარილიანი წყლით სავსე ბეტონის აუზებში ან პლასტმასის კასრებში ინახავენ. ბეტონის აუზებში ყველი რამდენიმე თვე, ხოლო პლასტმასში დაახლოებით ერთი თვე ინახება. იმისთვის, რომ ყველი არ გაფუჭდეს, საჭიროა ის ბოლომდე იყოს დაფარული მარილიანი წყლით. ყველის ქარხნების უმეტესობაც ყველის შენახვის ამავ მეთოდს იყენებს.

ფერმერებს ურჩევნიათ ყველი რამდენიმე თვის მანძილზე შეინახონ. მათი ინფორმაციით, სამ თვეზე მეტი ხნით ყველის მარილწყალში შენახვის დროს ბრუცელოზის ბაქტერია კვდება. ამავ დროს, ყველი წონასაც იმატებს, ერთ ტონაზე - 70-80 კგ-ს, რაც ასევე მომგებიანია.

ფერმერებს არ გააჩნიათ ინფორმაცია ფასიან საწყობებსა და მაცივრებზე, სადაც შეიძლება ყველის შენახვა. თუმცა ამდგარი საწყობები ნინონმინდის ტერიტორიაზე არც არსებობს.

რძის და ყველის გაყიდვა

მოსახლეობა ყიდის რძეს და რძის პროდუქტებს, განსაკუთრებით, ყველს. რძეს ძირითადად აბარებენ ადგილობრივ, მცირე ზომის ყველის დამამზადებელ ქარხნებში, ყველს კი ადგილზე ყიდიან შუამავალ პირებზე, რომლებიც შემდგომ თვითონ უკეთებენ პროდუქციას რეალიზაციას ქალაქებში – თბილისი, ქუთაისი, მარნეული, ბათუმი, რუსთავი.

ფერმერებისგან ყველს ხშირად ყიდულობენ მოვაჭრეები თბილისიდან, რომლებთანაც მათ დიდი ხნის ურთიერთობა აქვთ და იციან, თუ რა ხარისხის პროდუქციას აწარმოებენ. თუმცა ზოგ ფერმერს ასეთი კავშირები არ აქვს. ასეთ შემთხვევაში მყიდველი პოულობს მათ გაკითხვით. იყიდის თუ არა პროდუქციას მოვაჭრე, დამოკიდებულია პროდუქციის სასაქონლო სახეზე და გემოზე.

ყველის ქარხნები

ნინონმინდის მუნიციპალიტეტში 20-მდე საშუალო და მცირე ზომის ყველის ქარხანაა. მ. შ. 4-5 საწარმო თავად აწარმოებს რძეს (გააჩნიათ საკუთარი მეურნეობა), დანარჩენები კი მოსახლეობისგან ყიდულობენ რძეს ან ჭყინტ ყველს (სულგუნის დასამზადებლად), რომელსაც შემდეგ თავიანთ საწარმოებში ამუშავებენ. რძე მოსახლეობისგან ხშირად თავად ქარხნების წარმომადგენლებს საკუთარი ან დაქირავებული ტრანსპორტით მიაქვთ. ქარხანაში მიტანისას ლაქტოსკანის მეშვეობით რძე მონმდება ცხიმინობაზე, მშრალი ნივთიერების შემცველობაზე, დამატებულ წყლის არსებობაზე, მჟავიანობაზე (PH) და სხვ. არსებული აპარატურის შესაძლებლობიდან გამომდინარე. რძის ხარისხს პირდაპირ უკავშირდება რძის შესყიდვის ფასი და, შესაბამისად, ფერმერები დაინტერესებულები არიან მყიდველებს ხარისხიანი რძე მიაწოდონ.

ქარხნები, რომელთა გადამუშავების წარმადობა დღე-ღამეში 1.5 ტონა რძეა, სრული დატვირთვით იშვიათად მუშაობენ. ზამთარში ზოგიერთი მათგანი – 100 ლიტრამდე, ხოლო ზაფხულში ერთ ტონამდე რძეს იბარებს. ასეთ ქარხნებში 3-4 ადამიანია დასაქმებული. ძირითადად, ოჯახები თვითონ ასრულებენ სამუშაოს, თუმცა ზოგჯერ დამატებით მუშახელსაც ქირაობენ.

ფინანსური რესურსები

ნინონმინდის მუნიციპალიტეტში „კრედოს“, „ლიბერთი ბანკისა“ და „ტაობანკის“ ფილიალებია. გარდა ამისა, ფერმერები სარგებლობენ ახალქალაქში მდებარე ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომსახურებითაც.

მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო მოთხოვნა კრედიტებზე არცთუ ისე მაღალია. თუმცა, ისინი, ვინც ამ სერვისით სარგებლობენ, კრედიტის უზრუნველსაყოფად დებენ ნინონმინდაში მდებარე ბინებს, ხოლო სოფლებში – ფერმებსა და პირუტყვს.

სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო სესხებით, ძირითადად, მსხვილი ფერმერები არიან დაინტერესებულნი, თუმცა კრედიტის მიღებაზე განაცხადის შეტანის შემდეგ თანხის მიღებას, ხშირად, დიდი დრო სჭირდება (განხილვა, ექსპერტის ადგილზე მისვლა, სიმძლავრეების შეფასება და სხვ.).

მეოთხე ნაწილი:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში გამოვლენილი ღირებულებათა ჯაჭვის (ყველის) საკანონმდებლო ანალიზი

ნინოწმინდის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზმა გამოავლინა, რომ ყველის წარმოება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთავარ მიმართულებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ განვიხილავთ კანონმდებლობას, რომელიც ყველის წარმოებასთანაა დაკავშირებული.

ყველის წარმოებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა:

- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი;
- პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი;
- საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ;
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №90 ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ, 2012 წლის 7 მარტი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №176 სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 3 ივლისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №430 ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, 2010 წლის 31 დეკემბერი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N173 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ, 2010 წლის 25 ივნისი;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №282 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ, 2010 წლის 10 სექტემბერი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 144 სურსათის წარმოების სფეროში მიკვლევადობის საფრთხის ანალიზისა და საკონტროლო კრიტიკული წერტილების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ, 2006 წლის 7 აგვისტო;
- საქართველოს კანონი სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლებების შესახებ აღარ არის რელევანტური ყველის წარმოებისთვის, რადგან 2011 წელს ამოღებულ იქნა 50 ლარიანი გადასახადი ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების იმპორტსა და ტრანზიტზე. ასევე, გაუქმებულია 25 ლარიანი სალიცენზიო გადასახადი ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქტებზე.

ზოგადი საკითხები

რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება

ჩვეულებრივი ბიზნესების გარდა, საქართველოს სასურსათო კანონმდებლობა ასევე გამოყოფს „ოჯახური წარმოების სუბიექტს“ და „მცირე ბიზნესს“. ოჯახური წარმოების სუბიექტია ფიზიკური პირი, „რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით“. ამ კატეგორიაში მოიაზრება ტიპური გლეხი, რომელიც სახლში აწარმოებს ყველს და დროდადრო ყიდის რძის ნაწარმს. ის

ბიზნესები კი, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს, ითვლებიან „მცირე ბიზნესად“. (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 2)

ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მიზნის გამო. პირველი, საოჯახო, მცირე და ჩვეულებრივი ბიზნესებისთვის განსხვავებული ჯარიმების ოდენობებია დაწესებული.

მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საოჯახო და მცირე ბიზნესებს არ ეხებათ საქართველოს მთავრობის დადგენილება №90 ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ. ეს წესი ასევე არ ეხებათ იმ ბიზნესებს, რომლებიც მთაში აწარმოებენ ყველს, ან ტრადიციულ მეთოდებს მიმართავენ ყველის საწარმოებლად. მაგალითად, ეს სპეციალური წესი არ შეეხება სამცხე-ჯავახეთში ძველი მესხური მეთოდით „ტენილი“ ყველის დამზადებას.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კანონმდებლობა ასევე განსხვავებს ორი სახის ხარვეზს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაში. პირველი ტიპის ხარვეზი არის „არაკრიტიკული შეუსაბამობა“, როცა ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობას პირდაპირი საფრთხე არ ექმნება და ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია ბიზნესის წარმოების პროცესის შეჩერების გარეშე. მეორე ტიპის ხარვეზია „კრიტიკული შეუსაბამობა“. ასეთ შემთხვევაში ხდება ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობისთვის სახიფათო სურსათის/ცხოველის საკვების იდენტიფიცირება და ხარვეზის აღმოფხვრა შეუძლებელია საწარმოო პროცესის შეჩერების გარეშე (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 2).

ბიზნესის დანება

ბიზნეს ოპერატორი შეიძლება დარეგისტრირდეს, როგორც სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნესი (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 13). თუ ბიზნესი აწარმოებს სურსათს/ცხოველურ საკვებს შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე, მაშინ ის დაჯარიმდება 300 ლარით (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 64). ზოგადად, ბიზნესის დარეგისტრირების წესი განწერილია საქართველოს კანონში მწარმეთა შესახებ, მუხლები 4-8.

სურსათის უსაფრთხოება

ბიზნეს ოპერატორს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს საკუთარი პროდუქციის უსაფრთხოება იმ კრიტერიუმების და პრინციპების შესაბამისად, რაც განწერილია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში. თუ ბიზნეს ოპერატორს აქვს ეჭვის საფუძველი პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებით, მაშინ მან უნდა მიმართოს ყველა შესაბამის ზომას – აღკვეთოს პროდუქტის განთავსება ბაზარზე და გამოითხოვოს უკვე განთავსებული პროდუქცია. ასევე, ბიზნეს ოპერატორმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სურსათის სააგენტოს პრობლემის და მიღებული ზომების შესახებ (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 14). თუ ბიზნეს ოპერატორი განაგრძობს თავისი პროდუქციის გაყიდვას და დადგინდა, რომ მას ჰქონდა ეჭვი პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მაშინ ის დაჯარიმდება 1000 ლარით (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 65).

ყველის წარმოებისას, ბიზნეს ოპერატორი (გარდა ოჯახური წარმოების სუბიექტისა) ასევე ვალდებულია მოიკვლიოს ყველის დამზადებისთვის საჭირო ნედლეულის მიმწოდებლები. ბიზნეს ოპერატორს უნდა ჰქონდეს იმ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია, ვინც მას აწვდიან რძეს, პეპსინს, მარილს და სხვა საჭირო ნივთიერებებს (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 17). ეს კეთდება საიმისოდ, რომ შემუშავდეს რისკების მართვის ეფექტიანი მექანიზმები, რათა სწრაფად და მარტივად იყოს შესაძლებელი პრობლემის გამოვლენა და შესაბამისი ზომების მიღება.

წარმოება

წინონმინდის მუნიციპალიტეტის საძოვრები აქტიურად გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტის მეცხოველეთა მიერ (გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი). შესაბამისად მუნიციპალიტეტში ხშირია საქონლის მიგრაციები, რისთვისაც მოწყობილია შესაბამისი გადასარევი ტრასები. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საძოვარი და გადასარევი ადგილების განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს და განხორციელდეს ღონისძიებანი გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოსა და გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების, წყლის სასმელი ადგილების შესანარჩუნებლად. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს აგრეთვე, გარეულ ცხოველთა ნორმალური არსებობისათვის განსაკუთრებული ღირებულების მქონე უბნების ხელშეუხებლობა (საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ. მუხლი 17). ამჟამინდელი კანონმდებლობით, ყველის წარმოებას არ სჭირდება ლიცენზიის ან ნებართვის (მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების) აღება. გასათვალისწინებელია, რომ ყველა იმ საქმიანობისთვის, რომელიც არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დაცვა (საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ. მუხლი 5). ასევე, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მიხედვით, აუცილებელია ნებართვა ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტის იმპორტისა და ტრანზიტისთვის. ამგვარად, თუ ბიზნეს-ოპერატორი გადაწყვეტს საქონლის იმპორტს, რათა მოაშენოს საკუთარი ფერმა და უზრუნველყოს რძის სტაბილური მარაგი საკუთარი ყველის ქარხნისთვის, მაშინ მას დასჭირდება შესაბამისი ნებართვა. ნებართვის მიღების წესები განერილია საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში და საქართველოს კანონში ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ.

ბიზნეს ოპერატორებს, რომლებიც ეწევიან რძის გადამუშავებას, კანონმდებლობა ავალდებულებს ჰიგიენის და სანიტარიის ძირითადი წესების დაცვას, მაგალითად – აღჭურვილობის სუფთად შენახვა და რძის შესანახი ადგილის გამოყოფა ცხოველთა სადგომისგან. ჰიგიენის და სანიტარიის დეტალური მოთხოვნების ნახვა შესაძლებელია საქართველოს მთავრობის №90 დადგენილებაში ცხოველური წარმოების სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ, 43-ე მუხლი. გარდა ამისა, ნებისმიერ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების ნორმებს (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ). გასათვალისწინებელია, რომ სამეურნეო ობიექტის პრივატიზებისას ახალი მეპატრონე სრულად იღებს პასუხისმგებლობას იმ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებაზე, რომელიც დაკისრებული ჰქონდა ყოფილ მეპატრონეს (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ. მუხლი 21).

კანონმდებლობის მიხედვით, თუ რძე გადამუშავდება მოწველიდან 2 საათის განმავლობაში, მაშინ მისი გაგრილება არ არის აუცილებელი. თუ გადამუშავება 2 საათის შემდეგ იგეგმება, მაშინ ნედლი

რძის შენახვის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 8 გრადუსს. ტრანსპორტირების შემთხვევაში (მაგალითად, ყველის ქარხანა ყიდულობს რძეს ადგილობრივი ფერმერებისგან), დანიშნულების ადგილას მიწოდებისას რძის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 10 გრადუსს. ამის შემდეგ, თუ რძის გადამუშავება არ იგეგმება შემდეგი 4 საათის განმავლობაში, მაშინ ის უნდა გაგრილდეს 6%-მდე და შეინარჩუნოს ეს ტემპერატურა მანამ, ვიდრე რძე არ გადამუშავდება (საქართველოს მთავრობის დადგენილება №90 ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ).

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ სურსათი/ცხოველის საკვები წარმოადგენს დაავადების აღმოცენების, გავრცელების ან/და გარემოს დაბინძურების წყაროს, მისი განადგურების მეთოდებს, პირობებსა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულება – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური.

გაყიდვები

გაყიდვისას, სურსათის/ცხოველის საკვების პროდუქტებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ეტიკეტი. (სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, მუხლი 18).

ყველის ექსპორტზე გატანის შემთხვევაში, მენარმემ უნდა შეავსოს შესაბამისი ფორმა. რომელიც მოცემულია საქართველოს მთავრობის №430 დადგენილებაში ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმების და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მეხუთე ნაწილი:

ინიციატივები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე გამოვლინდა ინიციატივები, რომელთა განხორციელება უნდა იყოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი. ინიციატივები შეირჩა შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- ინიციატივის განხორციელება ხელს შეუწყობს ღარიბი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- იგი მნიშვნელოვანია ღირებულებათა ჯაჭვში გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- იგი შეესაბამება განვითარების ხედვას და პრიორიტეტებს.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სულ გამოვლინდა ოთხი ინიციატივა, რომლებიც დეტალურად ქვემოთაა განხილული.

ინიციატივა # 1: ყველის წარმოების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ნინოწმინდა განთქმულია ყველის წარმოებით, თუმცა არსებობს კიდევ უფრო დიდი პოტენციალი, რომელიც არარის ათვისებული. ერთ-ერთი შემთავრებული ფაქტორი არსებული ინფრასტრუქტურაა, რომლის გაუმჯობესება რამდენიმე კუთხითაა შესაძლებელი:

- **ახალი ტექნოლოგიების ხელშეწყობა.** ნინოწმინდაში ტრადიციულად აკეთებენ ყველის „ქარხნულ“ სახეობას, ხანდახან – „სულგუნსაც“. ნინოწმინდის მაღალმთიანი მდებარეობა ხელსაყრელია სხვა სახის ყველის დასამზადებლადაც, ისეთის, როგორც შვეიცარიის ალპებში მზადდება. ამისთვის, საჭიროა შესაბამისი დანადგარების და ცოდნის გავრცელება ადგილობრივ მოსახლეობაში.
- **უსაფრთხოების სტანდარტების და პრაქტიკის ნახაღისება.** ყველი ხშირად ისეთ პირობებში კეთდება, სადაც არ არის დაცული ჰიგიენის ელემენტარული წესები. ასეთ პირობებში მომზადებულმა ყველმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას. ამიტომ, მნიშვნელოვანია რომ დაინერგოს ყველის წარმოებისთვის ადეკვატური ინფრასტრუქტურა და მწარმოებლებმა გააცნობიერონ ყველის უსაფრთხოდ წარმოების უპირატესობები.

ინიციატივა #2: საქონლის მერძეული ჯიშების გაუმჯობესება

მუნიციპალიტეტში რძის პროდუქტიულობის გაზრდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა არსებული საქონლის ჯიშების გაუმჯობესება, რაზეც წლების განმავლობაში არავინ მუშაობდა და შედეგად მთელ საქართველოში ძირითადად გავრცელებულია დაბალ-პროდუქტიული საქონელი, როგორც წველადობის, ისე წონის მიხედვით. ჯიშების გაუმჯობესება მოიცავს რამდენიმე კომპონენტს, რომლებიც ქვემოთაა ჩამოწერილი:

- **საქონლის ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის დანერგვა და მის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.** დღესდღეობით, ხელოვნური განაყოფიერების შესახებ მოსახლეობა ძალიან ცუდად არის ინფორმირებული. ხელოვნურ განაყოფიერებას, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლია

გააუმჯობესოს არსებული საქონლის ჯიშები, თუმცა მოსახლეობა დიდი სიფრთხილით ეკიდება რეგიონში ნაკლებად აპრობირებულ და მათთვის ინოვაციურ იდეას. ამიტომ, მნიშვნელოვანია ფართო საინფორმაციო კამპანიის წარმოება და სადემონსტრაციო ცდები, რომ მოსახლეობას გაუჩნდეს ნდობა ხელოვნური განაყოფიერების მიმართ. კიდევ ერთი უპირატესობა, რაც ხელოვნურ განაყოფიერებას გააჩნია, არის რძის წარმოების ციკლის უკეთესი დაგეგმარების შესაძლებლობა. ფერმერებს მიეცემათ საშუალება ზამთარშიც ჰქონდეთ რძე, როცა მისი ფასი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ზაფხულში.

- **ბუღალტრული და ჯიშის ფერების შემოყვანა.** ამ კომპონენტის ამოქმედებისთვის უპირველესად უნდა შეისწავლონ ალტერნატივები – რომელი ჯიშების შემოყვანა იქნება უფრო ხელსაყრელი ნინონმინდის მუნიციპალიტეტისთვის, რა რაოდენობით, და საიდან უნდა შემოიყვანონ ცხოველები. ასევე, ადგილზე უნდა მომზადდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქონლის მოვლის შესაბამისი პირობები.
- **ფერმერთა ინფორმირებულობის ამაღლების ხელშეწყობა ბუღალტრული და ჯიშის ფერების მოვლასთან დაკავშირებით.** ინიციატივის ფარგლებში, სპეციალურად შერჩეული ბოლოვეტერინარები პერიოდულად უნდა შეხვდნენ ფერმერთა ჯგუფებს და გააცნონ მათ (კონსულტირება) ბუღალტრული და ჯიშის ფერების კვების, შეჯვარებისა და სხვა ბოტექნიკური პირობების დაცვის წესები.

ინიციატივა #3: საქონლის დაავადებების კონტროლი და მართვა

საქართველოს, პრაქტიკულად, ყველა რეგიონში ცხოველთა დაავადებების კონტროლი დიდი პრობლემაა. ყოველ წელს ვრცელდება ისეთი დაავადება, როგორცაა „თურქული“. ასეთი მძიმე სიტუაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოსახლეობაში ინფორმაციის ნაკლებობაა. შესაბამისად, ეს ინიციატივა შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- **დაავადებების დიაგნოსტიკა.** აუცილებელია დაავადებების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება მოსახლეობაში. ფერმერებმა უნდა იცოდნენ მარტივი ნიშნები, რომლითაც შეიძლება გარკვეული დაავადებების აღმოჩენა. გარდა ამისა, აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის და ლაბორატორიის მონაცემები, სადაც მოსახლეობას შეეძლება უტყუარად შეამოწმოს საკუთარი საქონლის ჯანმრთელობა. მსგავსი ლაბორატორიები ძალიან ცოტაა საქართველოში. ნინონმინდიდან მსგავსი სერვისისთვის ახალციხეში უნვეთ ხოლმე ჩასვლა.
- **დაავადებების პრევენცია.** ინფორმაციის გავრცელების გარდა, ასევე საჭიროა დროული აცრები და დაავადებების სისტემური კონტროლი, რაც უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის და ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევით.
- **დაავადებების მკურნალობა.** გამოვლენილ დაავადებებს სჭირდება დროული რეაგირება და ზომების მიღება. ხშირად მოსახლეობას დიდი ხნის განმავლობაში ჰყავს დაავადებული პირუტყვი. ზოგიერთი ფერმერი კი დაავადების გამოვლენისთანავე ყიდის მას ბაზარზე. შედეგად, არაინფორმირებულმა ფერმერებმა შეიძლება დაავადებული საქონელი შეიძინონ.


ინტერვენცია #4: საქონლის კვების გაუმჯობესება

საქონლის ჯიშების გაუმჯობესებასთან და დაავადებების კონტროლთან ერთად, აუცილებელია ყურადღების მიქცევა საკვების კომპონენტზე. სხვა მხრივ, რძის პროდუქტიულობა ვერ გაიზრდება.

- კომბინირებულ საკვებსა და დანამატებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ხშირად, ზამთარში, ფერმერებს მხოლოდ თივაზე მიუწვდებათ ხელი. შესაბამისად, საქონელი იკლებს წონაშიც და წველადობაშიც. ამიტომ აუცილებელია საკვებდანამატების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, ე. წ. „კომბი“ (კომბინირებული საკვები) და „სილოზი“. უნდა ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია, რომ მოსახლეობამ კარგად გაიგოს, რამდენად გამართლებულია ხარჯების განწევა ასეთი საკვებისთვის.
- საქონლის ახალი საკვები კულტურების გავრცელება. საქართველოში ნაკლებად ვრცელდება საქონლისთვის სასარგებლო ახალი საკვები კულტურები. ამ მიმართულებით, საჭიროა კვლევითი საქმიანობა და ნინონმინდის მუნიციპალიტეტისთვის შესაფერისი კულტურების იდენტიფიცირება და დანერგვა.
- ფერმერების ინფორმირება საქონლის კვების და კომბინირებული საკვების დამზადების შესახებ. აუცილებელია პირუტყვთა კვების ექსპერტებმა საინფორმაციო კამპანია აწარმოონ მოსახლეობაში, რადგან შინაურ პირობებშიც შესაძლებელია იმაზე მაღალი ენერგეტიკული ღირებულების საკვების მომზადება, ვიდრე უბრალოდ თივაა.



ნიონომიდის მუნიციპალიტეტი მიწის საფარი



წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) თვალსაზრისს.

